№97 ორშაბათი
7 დეკემბერი 2015 წელი
40 თ (გურიის გარეთ 1 ლარი)

# გურია NEWS

გაზეთი "გურია ნიუსი"
გამოდის კვირაში ორჯერ
www.gurianews.com

## სასმელად უვარგის წყალზე დახარჯული 1 200 000 ლარი, უგზოობა და შეჩერებული "გრანდიოზული" პროექტი ასკანაში



▶4

## დიდთოვლობა გურიაში



▶5

## რატომ დაგვიანდა ფულადი ჯილდოს გაცემა



▶5

## მთავარი თემა

### ილია მეორე პატიმრების შეწყალების უფლებას ითხოვს



*(გურია ნიუსი, თბილისი)* _ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე პატიმრების შეწყალების უფლებას ითხოვს:

"ვფიქრობ, რომ პატრიარქს უნდა ჰქონდეს უფლება, შეიწყალოს პატიმრები და ბრალდებულები. ამაზე ვისაუბრეთ პრემიერ-მინისტრთან და ალბათ, პრემიერი დააყენებს ამ საკითხს", _ ეს განცხადება ილია მეორემ რუსთაველის თეატრში, მას შემდეგ გააკეთა, რაც მსჯავრდებულების მიერ დადგმული სპექტაკლი _ "ჩემი მძევალი ანგელოზები" ნახა.

პატრიარქმა სპექტაკლში მონაწილე მსჯავრდებული ქალები დალოცა და ბეჭდებით დაასაჩუქრა.

"ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერის და პარლამენტარის, ეკა ბესელიას თქმით, ის მიესალმება იმ ფაქტს პატიმრებს თუ შეიწყალებს პატრიარქი:

"საჯაროდ პირველად გაჟღერდა პატრიარქის ეს სურვილი და მე ვიქნებოდი ძალიან ბედნიერი, თუ ჩვენ ამ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მივიღებთ. ვფიქრობ, ეს იქნება ძალიან კარგი და სასარგებლო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პატრიარქსაც ქონდეს ეს განსაკუთრებული უფლება, როგორც ადამიანს, რომელსაც საზოგადოების ყველაზე მაღალი ნდობა აქვს,"_ თქვა ჟურნალისტებთან საუბრის დროს ეკა ბესელიამ.

პატრიარქის განცხადებაზე კომენტარი გააკეთა სასჯელაღსრულების მინისტრმა. კახა კახიშვილი ფიქრობს, რომ პატრიარქს ამის უფლება უნდა ჰქონდეს:

"მეც მიმაჩნია, რომ პატრიარქს უნდა ჰქონდეს ეს უფლება. იგი ერის წინამძღვარია, მასზე ბრძენი ადამიანი არ ვიცი, ვინ არის. ამიტომ, ნამდვილად უნდა ჰქონდეს მას შეწყალების უფლება", _ განაცხადა კახა კახიშვილმა.




მხოლოდ ჩვენთან, "გურია ნიუსის" ჩოხატაურის ოფისში,
ბანერების, სტიკერების, ბუკლეტების, ჟურნალების,
აფიშების, მოსაწვევების, სავიზიტო ბარათების და
სხვა მრავალი პოლიგრაფიული ნაწარმის ბეჭდვა
იაპონური ხარისხით!

დაივიწყეთ დაბალი ხარისხის პროდუქცია და
დაბეჭდეთ ჩვენთან!

თქვენ ოფისს, თქვენ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს,
თქვენს საქმიანობას
ჩვენთან დაბეჭდილი უმაღლესი ხარისხის პროდუქცია
VIP-კლასის იმიჯს შეძენს!

მისამართი: ჩოხატაური, ღუმბაძის 25
ტელეფონი: 551373636; 577625007

მისამართი: ჩოხატაური _
ნოდარ დუმბაძის ქ. #25,
☎ 22010, (599)207470
ოზურგეთი _
ჭავჭავაძის გამზირი, #4,
მე-3 სადარბაზო,
I სართული, ბინა32
ლანჩხუთი _
ნოე ჟორდანიას ქ. #114/3
თბილისი _ ☎ (832)102001
Email: guria@gurianews.com

გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში; ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე ვრცელ მასალას და შეუკვეთავ წერილებში ჰონორარს არ გასცემს.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია!

გამომცემელი ია მამალაძე
Email: ia@gurianews.com
მთავარი რედაქტორი
გიორგი სიხარულიძე
Email: gia@gurianews.com
ოფისის მენეჯერი
ვარდო ანდღულაძე
☎571903990
სარეკლამო სამსახურის უფროსი
დაკა ბერძენიშვილი
☎577725854
სტილი და კორექტურა
ნინო ბერძენიშვილი
☎551181096
ფინანსური მენეჯერი
თამარ მეფარიშვილი
☎599217485
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჩხიკვაძე
☎571903989

**განცხადებების ფასები**

ნებისმიერი სახის განცხადება: სიტყვა _ 30 თეთრი;

სურათიანი განცხადება _ დამატებით ორი ლარი

სამგლოვიარო განცხადებების განთავსების მიზნით ფართის შეძენისას, ღირებულება იანგარიშება შესაბამისი გვერდის ფასის _ 400 ლარის მიხედვით.

**რეკლამის ფასები**

არაპოლიტიკური რეკლამა:
1 კვადრატული სანტიმეტრის ფასი (მთლიანი გვერდის ზომაა 1000 კვადრატული სანტიმეტრი)

პირველ გვერდზე (ფერადი): _ 1.75 ლარი;
მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე: _ 0.4 ლარი;
ბოლო გვერდზე (ფერადი) _ 0.70 ლარი;
დანარჩენ გვერდებზე _ 0.28 ლარი.

შავ-თეთრი გვერდის ფერადად დაბეჭდვა _ დამატებით 200 ლარი.

პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია.

*გაზეთი დაბეჭდილია შპს "ასავალ-დასავალის სტამბა"-ში.
მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39,
ტელ: 2343330.
ელ-ფოსტა: print@asavali.ge*

# მრევლმა ჯიხეთობა იზეიმა



***(გურია ნიუსი, ლანჩხუთი)*** _ ყოველი წლის ოთხ დეკემბერს ლანჩხუთის მრევლი "ჯიხეთობას" ზეიმობს.

ამ დღეს მართლმადიდებლური სამყარო ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულს აღნიშნავს. სწორედ, ამ დღესასწაულის სახელობისაა ჯიხეთის დედათა მონასტერი, სადაც ყოველწლიურად განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნება ეს ქრისტიანული დღესასწაული.

გამონაკლისი არც წლევანდელი წელი იყო. სადღესასწაულო წირვა-ლოცვა მეუფე იოსებმა აღავლინა.

ჯიხეთის მონასტერი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დაარსდა. ისტორიული ცნობებით, იგი 1896 წელს ოზურგეთელმა ილარიონ მენაბდემ ააგო. პირველი საზეიმო წირვა კი ახალგაზრდა დეკანოზმა ეპიფანე ხონელიამ აღავლინა.

გადმოცემის მიხედვით, თავდაპირველად, მონასტერში 113 ქალი მოღვაწეობდა. პირველი წინამძღვარი და დედათა მონასტრის დამფუძნებელია დედა ელენე (მგალობლიშვილი).

მონასტერში სკოლაც იყო გახსნილი, სადაც წერა-კითხვასთან ერთად საოჯახო საქმესა და ხელგარჯილობასაც ეუფლებოდნენ.

1984 წლიდან კი მონასტერს წინამძღოლობს არქიმანდიტრი ანდრია (კბილაშვილი), რომლის თაოსნობითაც ტაძარში მრავალი აღმშენებლობითი სამუშაოები ჩატარდა.

# არხის ცუდად გაჭრამ გზა უფრო დააზიანა

***(გურია ნიუსი, ოზურგეთი)*** _ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის შიდა გზა, განსაკუთრებით, კილომეტრიანი მონაკვეთი, იმდენად დაზიანებულია, რომ მძღოლები მუდამ შემოვლითი გზით სიარულს ამჯობინებენ. ჭანიეთის თემში შემავალი სოფელ ქაქუთის და ჭანიეთის მოსახლეობის ნაწილი, ძირითადად, ამ შემოვლითი გზით სარგებლობს. ეს გზა ორიოდე თვის წინ მოიხრეშა და მარჯვენა მხარეს გვერდითი არხიც გაიჭრა, თუმცა, გასაკვირი ისაა, რომ არხი ისეა გაჭრილი, თავი და ბოლო გახსნილი არ არის და, ფაქტობრივად, წყალი კი არ გაედინება, შიგ გროვდება.

*სოფლის მცხოვრებლებმა დახმარებისთვის "გურია ნიუსს" მიმართეს: "ბოლოს და ბოლოს, როდის გაკეთდება სოფლის შიდა გზა და რაც გაკეთდა, ვინაა ამ უხარსიხოდ შესრულებულ სამუშაოზე პასუხისმგებელი?!"* _ კითხულობენ ისინი.

ჩვენ ვესაუბრეთ **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს სოფელ ჭანიეთში მერაბ ბერაძეს**: *"ნოემბრის ხანგრძლივი წვიმების დროს, სოფლის შიდა გზების არაერთი მონაკვეთი დაზიანდა. აღვრიცხეთ ყველაფერი და მოვიყვანეთ ტექნიკა. ქაქუთის ნაწილში ეს კარგად გაკეთდა. სამწუხაროდ, შემოვლითი გზის ეს ნაწილი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, არ მინახავს გაკეთების შემდეგ, რადგან ვენდე გრეიდერის მძღოლს. ახლა ვნახავ, გზის აღნიშნულ მონაკვეთს და ვეცდები, რომ კვლავ მივიდეს იქ ტექნიკა და სამუშაო სრულყოფილად შესრულდეს"*, _ გვითხრა ბერაძემ.



# უბედური შემთხვევა შუასურებში

***(გურია ნიუსი, ჩოხატაური)*** _ უბედური შემთხვევა მოხდა შაბათს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუასურებში. როგორც გვითხრეს, ახალგაზრდა მამაკაცს ს. დ.-ს ელექტროსადენების შეკეთების დროს დენმა დაარტყა:

_ *დიდთოვლობის გამო ელექტროსადენები გაწყდა. ს. დ. "ელექტრიკი" არ იყო, თუმცა, მსგავსი საქმეები კარგად იცოდა. გზაზე მოდიოდა და მიწაზე დაგდებული სადენი დაინახა. აიღო, შეკეთებას აპირებდა. სავარაუდოდ, სწორედ მაშინ მოვიდა დენი და ადგილზე მოკლა ახალგაზრდა კაცი,* _ გვითხრეს თვითმხილველებმა.

მომხდარზე კომენტარს არ აკეთებენ "ენერგო პრო ჯორჯიაში".

ფაქტს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, თუმცა, ექსპერტიზის დასკვნამდე, გარდაცვალების მიზეზებზე არ საუბრობენ. უწყებაში განმარტავენ, რომ გამოძიება უკვე დაწყებულია.

**"გურია ნიუსი" მწუხარებას გამოთქვამს ახალგაზრდა მამაკაცის დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს.**

# შშმ პირთა დღეს მიეძღვნა

***(გურია ნიუსი, ჩოხატაური)*** _ 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მონე პირთა საერთაშორისო დღეს, შშმ პირთა მომსახურების ცენტრის _ "ჩვენ ერთად ვართ", ორგანიზებით, ჩატარდა შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებაზე სტუმრის სტატუსით იმყოფებოდნენ ჩოხატაურის სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და შშმ პირები.

სსს მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, იმღერეს, იცეკვეს ზღაპრის გმირების გარემოცვაში გაატარეს რამდენიმე მხიარული საათი.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, ჩოხატაურის კულტურის განყოფილება, არასამთავრობო ორგანიზაციები _ "ტოა" და "შალომ კლუბ გურია".



ღონისძიებაზე | ფოტო: ნინო ბერძენიშვილი

იკითხეთ გურია NEWS

# სამახსოვრო ჩინოვნიკებისთვის

## საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
## თავიIII. ინფორმაციის თავისუფლება

## მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

**მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

**მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

**მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

**მუხლი 40. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ**

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ.
2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმასაჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

# "გურია ნიუსის" ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თქვას სიმართლე, გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია და დააზუსტოს ყველა მხარის ინტერესები, არ შელახოს პიროვნების უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაიცვას ინფორმაციის წყაროს პირადულობა.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია პირველ რიგში დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და საზოგადოების ინტერესები, არ დაუშვას დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თავისი ცხოვრების წესისგან გამომდინარე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისზეც ის წერს.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ასრულებდეს ნებისმიერ ძალაუფლებაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპების სასარგებლოდ.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ გააზვიადოს მოვლენები, შეინარჩუნოს სიმშვიდე, მზად იყოს უარის ან შეურაცხყოფისთვისაც კი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ დაუშვას შეფარული ან პირდაპირი რეკლამა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველზე არ დაუშვას კერძო ან ეკონომიკური ხასიათის გავლენა მასზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია განსაკუთრებით დაიცვას ბავშვთა უფლებები, ხელშეუხებლად მიიჩნიოს მისი პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პროცესი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ფართოდ ითანამშრომლოს კოლეგებთან, შექმნას კომპრომისული და მიმტევებლობის ატმოსფერო.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია სიტყვით, საქმით და სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაიცვას ჩვენი გაზეთის ინტერესები და ეს ეთიკური კოდექსი გაზეთის პოპულარობისა და პრესტიჟის გასაზრდელად.

# ლაპლანდიელი სანტა თუ კავკასიიდან ჩამოსული ქართველი თოვლის ბაბუა

## დებატები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

მარინა ჩიხლაძე
გიორგი გირკელიძე
გურია ნიუსი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა 2 დეკემბერს შედგა, რომლის დღის წესრიგში ოთხი საკითხი განიხილებოდა.**

**სხდომაზე ბევრი მოსაზრებები გაჟღერდა, მათ შორის, გამოითქვა მოსაზრება, რომ "არ არის საჭირო ლაპლანდიიდან ჩამოსული სანტა. ქართველი, კავკასიიდან ჩამოსული თოვლის ბაბუა უნდა შეხვდეს ბავშვებს."**



პირველი საკითხის ირგვლივ, "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის დადგენილებაში ცვლილების თაობაზე, **საფინანსო სამსახურის უფროსმა გია მამაკაიშვილმა** ისაუბრა. კერძოდ, მან დაასახელა კონკრეტული ციფრები, შემოსავლების ნაწილში სპეცტრანსფერი 250 ათასი ლარით გაიზარდა, რაც ოზურგეთს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის, რეგიონებში გასახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო. წარმოდგენილი პროექტი მთლიანად ითვალისწინებს 2015 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების ზრდას 552 904 ლარით, შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები კი შემცირდა 2 1096 ლარით.

_ *ცვლილება ოპერატიულად მოხდა და ჩვენ კიდევ ერთხელ გავიარეთ ამ პროექტს,* _ თქვა მამაკაიშვილმა. მის მიერ წარმოდგენილ ცვლილებებს დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

მეორე საკითხზე _ "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ", დადგენილების დამტკიცების თაობაზე **საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ** ისაუბრა. კერძოდ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა შემოიღონ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, განაკვეთები კი ასეთია: თითოეულ სამორინე მაგიდაზე _ კვარტალში 30 ათასი ლარი, თითოეულ სათამაშო აპარატზე _ კვარტალში 3 ათასი ლარი, თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე _ საპრიზო ფონდის 10%, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე _ კვარტალში 60 ათასი ლარი, აზარტული ან მომგებიანი თამაშების მოწყობის თითოეულ სალაროზე _ კვარტალში 15 ათასი ლარი, თითოეული კლუბის მაგიდაზე _ კვარტალში 10 ათასი ლარი.

დეპუტატების თანხმობით დადგენილება დამტკიცდა და ის 2016 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

რაც შეეხება მესამე საკითხს _ "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე, მასზეც დავით დარჩიამ ისაუბრა. საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებით, სამართლებრივ აქტში ცვლილება არ შევიდა, რადგან წინა სხდომაზეც დეპუტატთა უმრავლესობა შეეწინააღმდეგა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის გაზრდას. შესაბამისად, აღარ გაიზრდება განაკვეთებიც.

მეოთხე საკითხი შეეხებოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების მიღებას. საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა წარმოადგინა **აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ჭაკნელიძემ.** განკარგულების წინააღმდეგ არც ერთი დეპუტატი არ წასულა და ის უპრობლემოდ მიიღეს.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი და ექიმი, ტიტე მგელაძე** სასწრაფო სამედიცინო სამსახურისთვის შენობას ითხოვს. ეს საკითხი მან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დააყენა: "*ფინანსებთან არ არის დაკავშირებული, ისეთ საკითხზე მინდა მოგახსენოთ. ბევრი კეთდება ჯანდაცვის სისტემაში და ეს მისასალმებელია, მაგრამ მინდა თქვენი ყურადღება ერთ საკითხს მივაპყრო. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის განსათავსებლად საჭიროა შენობა. როგორც მოგეხსენებათ , "მედალფას" სამედიცინო ცენტრი ოზურგეთში კერძოა და დადგა სასწრაფო დახმარების ცენტრის ცალკე გადასვლის საკითხი. დღევანდელ სხდომაზე არის საუბარი კულტურაზე, თეატრზე, მაგრამ ეს არის ისეთი საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს დროულად. სასწრაფო დახმარების ცენტრი არ არის მხოლოდ ქალაქის, უფრო მეტად ესაჭიროება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. დაფინანსება არის, უბრალოდ შენობის პრობლემაა და იქნებ, როგორმე მოგვარდეს ეს საკითხი. კარგი რომ ყოფილიყო, ივანე მერაბიშვილი იმ შენობიდან (საუბარია ძველი პოლიციის შენობაზე, ავტ) არ გადმოიტანდა ქალაქის ცენტრში პოლიციას. პოლიციაც საჭიროა და კულტურაც, მაგრამ 15-კაციანი ჯგუფისთვის კარგი იქნება თუ გამოინახება შენობა*", _ თქვა ტიტე მგელაძემ.

გია მამაკაიშვილის თქმით, მას აქვს ინფორმაცია, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს: "*მაქვს ინფორმაცია, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ დავინტერესდებით , რის უფლებაც და საშუალება გვექნება, მაქსიმალურად ჩავერთვებით*", _ თქვა გია მამაკაიშვილმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დებატები მოჰყვა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის 50 000 ლარით დაფინანსების საკითხს.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, დიმიტრი კვერღელიძემ** თქვა, რომ კარგი იქნება თვეში ერთხელ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უფასო სპექტაკლი ჩატარდეს: "*ჩვენი კეთილი ნებაა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თეატრის დაფინანსებისთვის გამოყოფილი იყოს თანხა. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ მოხერხდება, თვეში ერთ ან ორ უფასო სპექტაკლს დაესწროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებლები*", _ თქვა დიმიტრი კვერღელიძემ.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის, ხვიჩა წულაძის** თქმით, ისიც კარგი იქნება, ამ 50 000 ლარის ფარგლებში, თოვლის ბაბუა სოფელში მცხოვრებ ბავშვებს ადგილზე თუ შეხვდება: "*ყველა სოფელში თოვლის ბაბუა თუ მივა და ცენტრში შეხვდება ბავშვებს, უკეთესი იქნება. ამ თანხით მე, პირადად, ორი თვის განმავლობაში შემიძლია შევხვდე ბავშვებს და კარგი საჩუქარიც გავუკეთო*", _ თქვა ხვიჩა წულაძემ.

**დეპუტატ ბიძინა გობრონიძის** აზრით, ბავშვებს ქართველი თოვლის ბაბუა უნდა შეხვდეს: "*არ არის საჭირო ლაპლანდიიდან ჩამოსული სანტა. ქართველი, კავკასიიდან ჩამოსული თოვლის ბაბუა უნდა შეხვდეს ბავშვებს. შოკოლადებს ჩვენ ვიყიდით, მთავარია, ყველა სოფელში მივიდეს თოვლის ბაბუა*", _ თქვა ბიძინა გობრონიძემ.

ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე გადაწყდა რომ 31 დეკემბრის ღამეს და 1 იანვარს დაბადებული ახალშობილები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სასაჩუქრე ბარათებს მიიღებენ, რომელზეც გარკვეული ოდენობის თანხა იქნება დარიცხული.

გია მამაკაიშვილის თქმით, ამ პროექტისთვის გამოყოფილი იქნება 1 000 ლარი, მაგრამ თუ ოთხზე მეტი ბავშვი დაიბადება, ბიუჯეტში აუცილებლად მოხდება ცვლილება. მისივე თქმით, სასაჩუქრე ბარათით, მშობლები შეძლებენ ბავშვისთვის საჭირო ნივთები შეიძინონ. ინიციატივა ერთჯერადი იქნება.

**საკრებულოს სხდომის დასასრულს, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა და დეპუტატმა დავით მჟავანაძემ,** დავით დარჩიას და მის მოადგილეს, დიმიტრი კვერღელიძეს მიმართა: "*მაქვს ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომელსაც გადმოგცემთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შეცდომისგან არავინაა დაზღვეული და შეიძლება, შეცდომა თითოეულ ჩვენგანს მოუვიდეს, მაგრამ აქ საქმე უფრო რთულადაა _ ადამიანი არაფორმალურად იყო დაქირავებული და მისთვის უნდა გადაეხადათ ანაზღაურება. გადმოგცემთ ამ ასლს და იმედია, მიაქცევთ ყურადღებას*".

საქმე ეხება დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელის, დავით რობაქიძის მიერ 2015 წლის 23 იანვარს გაცემულ ოფიციალურ ცნობას, რომელშიც წერია: "*გაიცა მასზედ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ, დაბა ურეკის ტერიტორიული ორგანოს ყოფილი სპეციალისტი ეკატერინე მინდოდაშვილი გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან გასული წლის 2 აგვისტოს. ამის შემდეგ კი იგი 30 დეკემბრამდე თვითნებურად განაგრძობდა სამსახურში სიარულს, თავისი სურვილით მეხმარებოდა დოკუმენტაციის წარმოებასა და შედგენაში,*" _ რობაქიძემ ცნობა "დანიშნულებისამებრ" გასცა.

დიმიტრი კვერღელიძემ დავით მჟავანაძეს უპასუხა, რომ თუ ცნობა ორიგინალია, ამაზე იქნება შესაბამისი რეაქცია: "*ჩვენ ეს საკითხი არ გვეხება, მაგრამ გიპასუხებთ, რომ თუ ეს ცნობა არის ორიგინალი, იმედი მაქვს, რომ შესაბამისი რეაგირება მოჰყვება*".

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მერაბ ჭანუყვაძემ** ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა "გურია ნიუსის" ყოველკვირეულ გადაცემაში "არჩევანი _ მე": "*გამგებლის წარმომადგენელმა შეცდომა დაუშვა, ცნობა არასწორად გასცა, თუმცა, ეს არ არის ისეთი დარღვევა, რის გამოც ადამიანმა სამსახური უნდა დატოვოს*", _ თქვა გადაცემაში მერაბ ჭანუყვაძემ.

ჩვენი გამოკითხვა

## რას ფიქრობთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ოჯახის დაყაჩაღებაზე?

გელა ცეცხლაძე:



_ ძალიან ცუდი ფაქტია. ალბათ, წესრიგი არ არის დამყარებული ისე, როგორც საჭიროა. ჩვენს ქვეყანას ყოველთვის ჰყავს მტერი შიგნითაც და გარეთაც.

ჯემალ მახარაძე:



_ ძალიან ცუდი ფაქტია, შემაძრწუნებელი.

თემურ ყაჭეიშვილი:



_ ცუდი რამე მოხდა, არ შეიძლებოდა, ეგ რომ მომხდარიყო. მით უმეტეს, ჩოხატაურში.

მთვარისა კვინტრაძე:



_ ძალიან ცუდი რამე მოხდა, ჩოხატაურში არ მომხდარა ასეთი რამ.

გოჩა სირაძე:



_ დამნაშავე უნდა მოიძებნოს და შესაბამისად დაისაჯოს.

# სასმელად უვარგის წყალზე დახარჯული 1 200 000 ლარი, უგზოობა და შეჩერებული "გრანდიოზული" პროექტი ასკანაში

ჟანა მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

**"სოფელ ასკანის მოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მთელი ზაფხული ჰპირდებოდნენ, რომ დაიწყებოდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. რამდენიმეწლიანი მოთხოვნის მიუხედავად, სოფელ ასკანის მოსახლეობას არ მიეწოდებოდა სასმელი წყალი. არც ერთი დაპირება არ შესრულებულა, დიდი ზარ-ზეიმით გახსნილი "როიალ-ასკანის" მშენებლობაც შეჩერებულია. რა ხდება, იქნებ გაგვარკვიოთ?! წინასაარჩევნოდ გამოგვიყენეს და ახლა ისევ უყურადღებოდ ვართ. მილიონებია გადაყრილი წყლის რეაბილიტაციისთვის, წყალი კი სასმელად უვარგისია", _"გურია ნიუსს" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანის მცხოვრებლები არაერთხელ დაუკავშირდნენ.**



**ასკანის ცენტრისკენ მიმავალი გზა**



**შეჩერებული მშენებლობა ასკანში**



**წყლის დაზიანებული მილი ასკანის ცენტრში** | ფოტოები: ჟანა მეგრელიშვილი

ასკანაში მოსახლეობის უდიდესი პრობლემა უწყლობისა და უგზოობის შემდეგ, მიგრაცია და უმუშევრობაა. აქაურების თქმით, სოფელი ახალგაზრდებისგან დაცლილია, მათი უმეტესობა სამუშაოდ თურქეთშია გადახვეწილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანის თემში სამი სოფელი _ მაღალი ეწერი, დაბალი ეწერი და მზიანი შედის; ცხოვრობს 500 ოჯახი, დაახლოებით, 1 200 კაცი.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელში, აქაც წყალთან დაკავშირებული პრობლემები წლების მანძილზე აწუხებს მოსახლეობას.

ასკანაში წყლის სისტემის რეაბილიტაციის ახალი პროექტის განხორციელება ერთი წლის წინ დაიწყო. მისი ღირებულება მილიონ ორასი ათას ლარს შეადგენდა. იგი გათვლილი იყო 800 ოჯახზე და 2014 წლის 1 დეკემბერს უნდა დასრულებულიყო.

"გურია ნიუსი" რამდენჯერმე წერდა, რომ სამუშაოები წინა წელს დარღვევით მიმდინარეობდა და არაკეთილსინდისიერად ხორციელდებოდა _ არხში, მილებთან ერთად, არ მოუწყვიათ ქვიშის "ბალიში", რასაც პროექტი ითვალისწინებდა და ქვიშის მაგივრად, ქვაღორღი იყო ჩაყრილი. როგორც კომპეტენტურმა პირებმა გვითხრეს, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ქვიშის მოტანა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული.

ასკანის წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მილიონ 200 ათასს ლარს შეადგენს, დასრულებულია, თუმცა, წყალი, რომელიც მოსახლეობას მიეწოდება, სასმელად უვარგისია; ვერ ფუნქციონირებს საფილტრავი სადგური, ფუნქციონირებისთვის კი საჭიროა კვალიფიციური სპეციალისტი. სოფლის გამგებლის თქმით, ფილტრი, დაახლოებით, 400 ათასი ლარი ღირს, წყალი კი ტექნიკურია, მოსახლეობა სასმელად ვერ იყენებს. რეაბილიტაცია დასრულებულია და რაც ყველაზე ცუდია, უკვე ზიანდება წყლის მილები. გამოდის, წყალშია გადაყრილი მილიონები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ასკანა ბიზნესმენი ძმების _ ჩხაიძეების მშობლიური სოფელია. 2014 წელს დაწყებული "როიალ ასკანას" მშენებლობა, რომელიც აქტიურ ფაზაში იყო, შეჩერებულია.

*"ეს იქნება მარანი, მუზეუმი, ტურისტული ბაზა, ქართული ვაზის უძველესი, უნიკალური ჯიშების სანერგე მეურნეობა, სხვადასხვა ტიპის საწარმოები, იგეგმება აეროპორტის მშენებლობაც, საიდანაც ტურისტს შესაძლებლობა ექნება, ეწვიოს ჩვენი მხარის ზღაპრულ სანახებს. უმთავრესი მიზანი კი ისაა, რომ სოფელი აღორძინდეს და ხალხი დასაქმდეს. კვდება სოფლები და კონკრეტულად ეს ობიექტი ასკანას გადაარჩენს",* _ ეს სიტყვები **კომპანია "კახური ტრადიციული მეღვინეობის" (KTW) დამფუძნებელს, ზურაბ ჩხაიძეს** ეკუთვნის.

ასკანელები "გურია ნიუსთან" სოფლის პრობლემებზე საუბრობენ.

**ამირან შევარდნაძე:** *"წყალი ყველა ოჯახშია მიყვანილი, ოღონდ გაუფილტრავია, სასმელად უვაგისი., საფილტრავი, საქლორავი არ არის ჩართული. "ასკანა როიალის" მშენებლობაც შეჩერებულია, რატომ _ არ ვიცით. პრობლემების მეტი რა გვაქვს _ უფულობა, უგზოობა... ელემენტარულად, ხრეშიც არ დაგვიყარეს გზაზე, რომ ცოტა შეღავათი იგრძნოს მოსახლეობამ. უმუშევრობაა, გზა ჩვენ არ გვაქვს და წყალი; ღვინო და საჭმელი არის ყველა ოჯახში _ რაც ჩვენით შევძელით, ესაა, მთავრობისთვის არ მოგვითხოვია".*

**არინა ნაცვალაძე:** *"პრობლემების მეტი რა არის?! თუმცა, მე, პირადად, არ ვმათხოვრობ, არავის არ ვაწუხებ".*

**თათია გაგლოშვილი:** *"არავინ იცის, რატომ არის შეჩერებული მშენებლობა. მთელი ზაფხული არ უმუშავიათ. არ გვაქვს სასმელი წყალი. სოფელში, ისიც მაღალმთიანში, უწყლობა და უგზოობა გვაწუხებს."*

**ასკანაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ბადრი ჯაველიძე** სოფელში წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით განმარტავს: *"მოდის გაუფილტრავი წყალი, ვერ მოხერხა წყალსადენის ჩაბარება შესაბამისი ორგანიზაციისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ფილტრების მუშაობას, დაყენებულია ძვირადღირებული ფილტრები, რომლებიც ვერ ფუნქციონირებს. ჩვენ არ გვყავს შესაბამისი სპეციალისტები, როლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის სამუშაოებს. წერილი გადაგზავნილი გვაქვს ინფრასტრუქტურის სამინისტროში და ველოდებით პასუხს. რაც შეეხება წყლის მილების დაზიანებას, შეიძლება, მართლაც ზიანდება, მაგრამ ეს არის გამოწვეული იმით, რომ მაგისტრალზე დამონტაჟებულია წნევის დამგდები, რომელიც შესაბამისად არეგულირებს წნევას, რადგანაც მოდის გაუფილტრავი წყალი. დაზიანდა ეს წნევის დამგდები, შესაბამისად, წნევა ვერ რეგულირდება, მაღალმა მომატებულმა წნევამ კი მილები დააზიანა, ჩვენ ადგილობრივი ძალებით შეძლებისდაგვარად ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. როგორც კი მოხერხდება საფილტრავი სადგურის ჩართვა და გარემონტდება წნევის დამგდები, მაშინვე დარეგულირდება ყველაფერი. რაც შეეხება გზას, რეაბილიტაციის პროექტი უკვე მზადაა და მისი ღირებულება შეადგენს 4 მილიონ 200 ათას ლარს. არის დაპირება, რომ მომავალი წლიდან ბიუჯეტში ნაწილობრივ მაინც ჩაისმება. გარდამავალი პროექტის სახით რომ მოხდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება, კარგი იქნება. რაც მთავარია, პროექტი მზადაა, ახლა დაფინანსებას ველოდებით",* _ ამბობს სოფელ ასკანის რწმუნებული, რომელიც, ასევე, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანხებზეც საუბრობს:

*"სოფლის პროექტის ფარგლებში, გამოყოფილი იყო 34 000 ლარი. სოფელ მზიანში და ასკანაში ორი ბაღი ნაწილობრივ შევაკეთეთ, ასევე, შეკეთდა ასკანის ადმინისტრაციული შენობა; მოიხრეშა და შეკეთდა ბასილეთთან დამაკავშირებილი გზა.*

*შეჩერებულ მშენებლობასთან დაკავშირებით, ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან ეს კერძო კომპანიის ქონებაა. როგორც ვიცი, ყურადღება გადაიტანეს სხვა საწარმოს მშენებლობაზე, ის იყო სასწრაფოდ გასაკეთებელი _ ხილის გადამამუშავებელ საწარმოზეა საუბარი",* _ ამბობს ბადრი ჯაველიძე.

**კომპანია "კახური ტრადიციული მეღვინეობის" (KTW) დამფუძნებელი ზურაბ ჩხაიძე** "გურია ნიუსთან" შეჩერებულ პროექტთან დაკავშირებით საუბრობს: *"მშენებლობა გარკვეული პერიოდით გაჩერებული იყო. შიდა მოწყობისა, დიზაინის და ქარხნის გაფართოებისთვის დრო დაგვჭირდა. ჩვენი სამშენებლო ჯგუფი ჯერ ქედაში გადავიდა, მერე ჩოხატაურში, შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში და იქ დავასრულეთ პროექტები. ჯერ მაინც არ არის რეგიონი მზად, რომ ამ ქარხანამ იმუშაოს. სასწრაფო და საჩქარო არაფერი გვაქვს, თუმცა, მშენებლობა დასრულებულია. ახლა დარჩა მშენებლობის შეფუთვა, ინტერიერის და ექსტერიერის დასრულება. ჩვენ ამას ვეძახით მოპირკეთებას. გარდა ამისა, მოლაპარაკება მქონდა ადგილობრივ მთავრობასთან, რომ მომხდარიყო გზის მოასფალტება ჩვენს სოფელში. ვინაიდან ამ პროექტის დასრულებისას თუ ჩვენ ასფალტირებული გზა არ გვექნა, თუ ინფრასტრუქტურა არ მოწესრიგდა ასკანაში, თუ არ მიეცა საშუალება ადგილობრივ და ჩამოსულ ტურისტს, კომფორტულად იგრძნოს თავი, რა თქმა უნდა, ცოტა გაუჭირდება ამ პროექტს. ეს ერთობლივი ძალებით უნდა მოხდეს. აქედან გამომდინარე, სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, ორი თვე შეჩერებული იყო მშენებლობა. ვერ ვიტყვი, რომ სოფელი მკვდარია _ ამ ობიექტზე ძალიან ბევრი ადგილობრივი მუშაობდა. ეს მშენებლობა გაგრძელდება და ისევ ისინი დასაქმდებიან. წყლის პროექტის განხორციელებაში დიდი შრომა გასწია, როგორც წინა გამგებელმა, ასევე, ახალმა გამგებელმა. მგონი, წყალთან დაკავშირებით პრობლემები აღარ უნდა იყოს",* _ ამბობს ზურაბ ჩხაიძე.

# როდის გადაწყდება მრავალბინიანი სახლის პრობლემა

სოფო წილოსანი
გურია ნიუსი

**ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის #114-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შიდა ეზოში საკანალიზაციო ჭის სიახლოვეს მიწა ჩავარდა და ხვრელი გაჩნდა, რომელიც სამშენებლო ბლოკებით ამოავსეს. თუმცა, ხვრელის გაფართოების რეალური საშიშროება არსებობს, რადგან მიმდებარე ტერიტორია წვიმისას გამუდმებით იტბორება.**



აღსანიშნავია, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შიდა ეზოს კეთილმოწყობა გათვალისწინებული იყო ქალაქის ცენტრის რეაბილიტაციის პროექტში, რომელიც, დაპირებისამებრ, ჯერ კიდევ ზაფხულში უნდა განხორციელებულიყო. საპროექტო ტენდერში გაიმარჯვა კიდეც ერთ-ერთმა კომპანიამ, მაგრამ სამუშაოები არ შეასრულა და ტენდერი თავიდან ჩატარდა. თუმცა, საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ თანხა არ ჩაირიცხა და ამბობდნენ, პროექტი გარდამავალი გახდებოდა, ანუ დაწყებული საქმე მომავალი წლისთვის დასრულდებოდა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ზაზა ურუშაძემ 27 ოქტომბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დააანონსა, რომ ქალაქის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება 2016 წლისთვის გადაიდო, რადგან დრო მცირეა და თანხების დახარჯვა შეიძლება ვერ მოესწროს. შემდეგ მანვე განაცხადა, რომ გარკვეული სამუშაოები წელს მაინც განხორციელდება და, დაახლოებით, 50 ათასი ლარი დაიხარჯება. ეს კი, თავისთავად, ნიშნავს იმას, რომ კიდევ ერთი პროექტი, ამ ჯერზე 800 ათას ლარზე მეტი ღირებულების, ფაქტობრივად, მიმდინარე ჩავარდა და გარდამავალი ეტაპის ბედი ირგუნა.

"გურია ნიუსი" დაინტერესდა, წელს ასათვისებელ თანხაში არის თუ არა გათვალისწინებული აღნიშნული მრავალბინიანი სახლის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, თუმცა, **მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, ლევან ჩხაიძემ გვითხრა**, რომ ამ ეტაპზე ეს გარკვეული არ არის:

*"ჯერ არ ვიცით, თუ რა სამუშაოები შესრულდება, რადგან ტენდერში მოგებულ კომპანიას ვადა მცირე აქვს. მასთან უნდა შევჯერდეთ, კონკრეტულად თუ რა პროექტს განახორციელებს თვეზე ნაკლებ ვადაში. ამიტომ მოხდება თუ არა ამ ბინის მიმდებარე ტერიტორიის ასფალტირება და სანიაღვრე არხის მოწყობა, ვერ გეტყვით. დანამდვილებით ისი ვიცით, რომ გაზაფხულამდე ეს პრობლემა აუცილებლად მოგვარდება"*, _ თქვა ლევან ჩხაიძემ.

*"მრავალი წელია, ასე ვიხრჩობით წყალში, წვიმის დროს ისე იტბორება აქაურობა, ვერ გაივლი. ეს ორმოც სწორედ, ამის შედეგია. არ ვიცით, რომელი სამსახურიდან იყო, კაცი მოვიდა და სამშენებლო ბლოკით ამოავსო, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის, დროზე უნდა ყურადღების მიქცევა, სანამ უფრო არ გადიდებულა ორმო. ყველა არჩევნების წინ გვპირდებიან, აუცილებლად გავითვალისწინებთ თქვენს პრობლემას და მოგიგვარებთო, თუმცა, არც ერთი დაპირება არ შესრულებულა. ვიცოდით, რომ სამუშაოები წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გვეუბნებიან 2016 წელს იქნებაო. ეტყობა, ახლაც საარჩევნოდ უნდათ ჩვენი გულის მოგება, რომ მერე ხმები მიიღონ"*, _ გვითხრეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა.

# დიდთოვლობა გურიაში

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

**გურიაში პირველი თოვლი 3 დეკემბერს მოვიდა, რომელმაც განსაკუთრებული პრობლემები მაღალმთიან სოფლებს შეუქმნა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში თოვლის საფარი 4 დეკემბრისთვის, თითქმის, ნახევარ მტერს აღწევდა. როგორც ზოტელებმა გვითხრეს, ორი დღის განმავლობაში მათ არც გზა ჰქონდათ და არც _ შუქი:**

**_ ასე გვგონია, მიტოვებულ კუნძულზე ვცხოვრობთ. დიდი თოვლი უცხო არ არის ჩვენთვის, მაგრამ უკვე მეორე დღეა, ტრანსპორტი ვერ მოძრაობს. ამას უშუქობაც ემატება. ხელისუფლება პრობლემების მოგვარებას გვპირდება და ჩვენც მოლოდინის რეჟიმში ვართ, _ აღნიშნეს "გურია ნიუსთან" სატელეფონო საუბრისას ზოტელებმა.**

**"ენერგო პრო ჯორჯიას" ჩოხატაურის სერვისცენტრის ხელმძღვანელის, ვანო ჭარბაძის** თქმით, "ელექტროენერგიის გათიშვა სტიქიამ გამოიწვია": _ *თოვლმა ხაზი გაწყვიტა და, შესაბამისად, ზოტს ვერ ვაწოდებთ ელექტროენერგიას. ჩვენი თანამშრომლები ორი დღეა მუშაობენ. გზა არ არის და კვალი, ფეხით უწევთ სიარული,* _ გვითხრა ჭარბაძემ.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლმა ირაკლი კუჭავამ** გვითხრა, რომ ზოტში გზა არ ჩაკეტილა. მისივე ინფორმაციით, სოფელში გზის გასაწმენდად საჭირო საწვავი 3 დეკემბერს ატანილი იყო.

გამგებელმა დეტალების გასარკევად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებული შპს "ჩოხატაურის ავტოსერვისცენტრის" ხელმძღვანელთან გადაგვამისამართა.

კუჭავას ინფორმაციით, "ჩოხატაურის ავტოსერვისცენტრმა" ტენდერში გაიმარჯვა და გზების გაწმენდა სწორედ მას ევალება.

**ცენტრის დირექტორის, ერეკლე მრელაშვილის** მტკიცებით, პრობლემა არც ერთ სოფელში არ შექმნილა:

_ *3 დეკემბერს, საღამოს 6 საათისთვის დამირეკა რწმუნებულმა და მითხრა, რომ პრობლემა იყო. შევთანხმდით, რომ მეორე დღეს, ადრიანად წავიდოდა ტრაქტორი და დაიწყებოდა მუშაობა. ასეც მოხდა. ჩვენ სოფლის რწმუნებულებზე ვართ დამოკიდებული _ თუ არ დაგვირეკეს და არ გვითხრეს, რომ პრობლემა აქვთ, ჩვენ როგორ გავიგებთ?!*, _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას მრელაშვილმა.

ზოტში არსებულ პრობლემებზე კომენტარი გააკეთა გამგებლის წარმომადგენელმაც _ **რაულ კონცელიძის** განმარტებით, მიუხედავად დიდთოვლობისა, ორხიდიან ავტომანქანებს გავლა თავისუფლად შეეძლოთ და ზოტში გზა არ ჩაკეტილა.

ზოტის გარდა, თოვლმა პრობლემები შეუქმნა სოფელ სურებს, სადაც სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულება ვერ მოესწრო. რამდენიმე სოფელს შეფერხებით მიეწოდებოდა ელექტროენერგია.

მარალმთიან ჩოხატაურში ზამთრის ზომიერი თოვლი და წვიმა ზსტიქიად ვერ ჩაითვლება. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ამბობენ, რომ ზამთარს მომზადებულად ხვდებიან და პრობლემები არსად არ შეიქმნება.

მცირე თოვლი ოზურგეთის და ლანჩხუთის მაღალმთიან სოფლებშიც მოვიდა.

# რა გადასცეს საჩუქრად ვეტერანებს

სოფო წილოსანი
გურია ნიუსი

**"გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" ლანჩხუთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ნონა მურვანიძე** საკუთარ ფეისბუქგვერდზე განცხადებას ავრცელებს, სადაც ვეტერანთა დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებას ეხმიანება.

*"ვეტერანთა დღის აღსანიშნავად, გურიის რეგიონული სამსახურის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას, ბატონი შოთა ფირცხალაიშვილის ხელმძღვანელობით, ლანჩხუთელი ვეტერანებიც შეუერთდნენ. ისინი ჩვენი მომავალი თაობისთვის სამაგალითო ადამიანები არიან. ღირსეულ პატივისცემას და დაფასებას იმსახურებენ. ჩვენი ხელისუფლება ხშირად ახსენებს მათ, რომ შეუძლიათ საყოველთაო დაზღვევის პაკეტით სარგებლობა, რომ ისინი სარგებლობენ 22-ლარიანი დახმარებითაც. იმ დღეს მათ ფასიანი საჩუქრებიც ჩამოურიგეს. იქ მყოფ ვეტერანებს რომ არ ეთქვათ, არ დავიჯერებდი: "რიგში ჩაგვაყენეს მეორადი უხარისხო ტანსაცმლიანი პარკების მისაღებად, მოკლედ, დაგვცინეს!"*

*დიახ, ეს მართლა დაცინვაა, ღირსების შელახვაა. ვეტერანებო, მე მინდა ბოდიში მოგიხადოთ ამისთვის. თქვენ ნამდვილად იმსახურებთ ღირსეულ დაფასებას, ღირსეულ პენსიას. ჩვენი ქვეყნის მთავრობისთვის ეს პრიორიტეტი რომ არ არის, კიდევ ერთხელ გამოჩნდა"*, _ ნათქვამია მურვანიძის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით "გურია ნიუსი" დავუკავშირდა **ლანჩხუთის ვეტერანთა სამსახურის უფროსს, შოთა ფირცხალაიშვილს**, რომელმაც კატეგორიულად უარყო ზემონახსენები ბრალდება:

*"ვეტერანებს საჩუქრად ტანსაცმელი ნამდვილად დაურიგდათ, მაგრამ არა მეორადი. სულ 100 ცალი ფუთა იყო, აქედან 40-40 ცალი ოზურგეთელ და ლანჩხუთელ ვეტერანებს გადაეცათ, 20 კი _ ჩოხატაურელ ვეტერანებს. შეფუთვაში, ძირითადად, ბავშვისა და ქალის ტანსაცმელი იყო. ერთ-ერთმა ვეტერანმა, ნამდვილად გამოთქვა უკმაყოფილება, რად მინდოდა ქალის ჩასაცმელიო. ეს იყო და ეს"*, _ თქვა ფირცხალაიშვილმა.

# რატომ დაგვიანდა ფულადი ჯილდოს გაცემა

სოფო წილოსანი
გურია ნიუსი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც 2015 წელს წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები და სახელმწიფოსგან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად 100%-იანი დაფინანსება მიიღეს, წახალისებისთვის მუნიციპალიტეტმა ფულადი ჯილდო დაუწესა 1000 ლარის ოდენობით.**

თუმცა, **გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის, როლანდ ლაშხიას** ინფორმაციით, ამ ბავშვებს 1000-ლარიანი დაფინანსება მუნიციპალიტეტისგან ჯერ არ მიუღიათ.



*"ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ ერთ-ერთ ბავშვს დოკუმენტაციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები ჰქონდა, რომელიც გვარდება და ყველა მათგანს თანხა აუცილებლად ჩაერიცხება"*, _ განმარტა საკრებულოს ბოლო სხდომაზე როლანდ ლაშხიამ.

**გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსის, თამარ ფირცხალაიშვილის** თქმით, წამახალისებელი ფულადი ჯილდოს გაუცემლობის მიზეზი არასაკმარისი თანხა იყო.

*"მცირედი თანხა გვაკლდებოდა. ნაკლულს ხომ ვერ გავცემდით?! ამიტომაც ბიუჯეტში ცვლილება გახორციელდა და თანხა მუხლიდან მუხლში გადავიტანეთ. კონკრეტულად ვერ გეტყვით როდის, მაგრამ ძალიან მალე მიიღებენ ბავშვები აღნიშნულ თანხას"*, _ განაცხადა ჩვენთან სატელეფონო საუბარში თამარ ფირცხალაიშვილმა.

შეგახსენებთ, ლანჩხუთიდან 2015 წელს წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და სახელმწიფოსგან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად 100%-იანი დაფინანსება მიიღო საჯარო სკოლის სამმა კურსდამთავრებულმა.

ბანერების, სარეკლამო ფურცლების, კალენდრების, ფლაერების, მოსაწვევი ბარათების, სერთიფიკატების, ეტიკეტებისა და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის დამზადება-ბეჭდვა;
ფოტოების დამუშავება, გადიდება, ბეჭდვა;
კომპიუტერული მომსახურება
ეს ყველაფერი ყველაზე იაფად და ხარისხიანად!

მისამართი: ჩოხატაური, დუმბაძის 25
ტელეფონი: 551373636; 577625007

ჩვენი გამოკითხვა

## რას ფიქრობთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ოჯახის დაყაჩაღებაზე?

ია მანწკავა:



_ ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა, არ ვიცი, რა ვიფიქრო. გამოდის, რომ დაუცველია საზოგადოება.

მურმან ბუბუტეიშვილი:



_ სამარცხვინო ფაქტია. მაგაზე უპატიოსნესი, კარგი პიროვნება ჩვენს რაიონს არ ჰყავს.

მაია კუკულაძე:



_ კარგს ნამდვილად არაფერს ვფიქრობ. საჯარო მოხელის ოჯახის დაყაჩაღების ამბავი ბოლოს როდის გავიგე, არც მახსოვს.

ციალა გოგიბერიძე:



_ ძალიან ცუდი ფაქტია. "მხედრიონის" დროს თუ გაიგებდი მსგავს რამეს.

ტარიელ ჯიქია:



_ არ უნდა დაეყაჩაღებინათ ასეთი კარგი ადამიანი. ნამდვილად უმაგრესი კაცია, ადამიანური, მეგობრული და ყველანაირად კარგი.

# "შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის!"

## რა ცვლილებებს გვთავაზობს შსს 2016 წლიდან

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

**"შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის" _ ამ სლოგანით, შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით, სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა დაიწყო. მინისტრის თქმით, "პროგრამა რეალობის საჭიროებებზეა მორგებული და მისი მიზანია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება, მან უნდა დაიცვას ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე და მაქსიმალურად აგვარიდოს ავტოსაგზაო შემთხვევები".**




პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ავტოსაგზაო შემთხვევების მთავარი მიზეზების წინააღმდეგ (არასწორი მანევრირება, სიჩქარის გადაჭარბება, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართვა და სხვა) ადმინისტრირების გაუმჯობესება; სამგზავრო ავტობუსების მოძრაობაზე კონტროლის გაუმჯობესება; ქვეყანაში არსებული ავტოპარკის განახლების წახალისება; სიჩქარის მობილური დეტექტორების გამოყენება _ ე.წ. "უკონტაქტო პატრულირება"; გზებზე და ქალაქებში არსებული "შავი წერტილების" განეიტრალება; 2016 წლის მარტიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტის შეზღუდვა; ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებისთვის კანონმდებლობის გამკაცრება; მოძრაობის წესების დარღვევებზე ქულების სისტემის შემოტანა და მართვის მოწმობის ტესტის რეალურ მოძრაობაში გადატანა.

წარმოდგენილი კანონპროექტი გათვლილია მოკლე ვადაში შედეგების მიღებაზე, გრძელვადიან პერსპექტივაში კი იგი მიზნად ისახავს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლებას და ამ სფეროს შემდგომი განვითარების ხელშეწყობას.

ახალი პროგრამა, საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, ფართომასშტაბიან კამპანიასაც მოიცავს, რომლის მიზანია საგზაო უსაფრთხოების საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

"მე ამ პროგრამას, პირველ რიგში, მომავალი თაობის უსაფრთხოებისთვის ვიწყებ. მინდა, ისინი პატარობიდანვე ეზიარონ იმ ჭეშმარიტებას, რომ კანონმორჩილი მოქალაქე, ცივილური, განვითარებული სახელმწიფოს ფუნდამენტია," _ განაცხადა **შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა.**

პროგრამის ფარგლებში, ახალი წლიდან მართვის მოწმობის გამოყენების წესებში ცვლილებები შევა: *"2016 წლის პირველ იანვარს ყველა მართვის მოწმობას მიენიჭება 100 ქულა განურჩევლად კატეგორიისა. პირველი იანვრიდან მომდევნო წლის პირველ იანვრამდე მძღოლებს იმ ცხრილის მიხედვით, რაც წინასწარ არის დადგენილი და რომელშიც აისახება ჯარიმების შესახებ ინფორმაცია (ამაში არ იგულისხმება ვიდეოჯარიმა, არამედ საუბარია უშუალოდ პატრულის მიერ გამოწერილ ჯარიმაზე, მაგალითად, ტელეფონზე საუბრისთვის) დააკლდებათ ქულები"*, _ აღნიშნა **შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა** პროგრამის პრეზენტაციაზე.

მისივე თქმით, ქულათა სისტემა ჯერ არ არის საბოლოო სახით ჩამოყალიბებული: "სანამ ქულა ნულამდე ჩამოვა, მანამდე *მოგივათ მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომელიც გამცნობთ, რომ თქვენი ქულა მცირდება, ხოლო როდესაც ნულზე ჩამოვა, მოგივათ სმს, რომ მართვის მოწმობა გაგიუქმდებათ"*, _ განაცხადა ხუციშვილმა.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, პირს მოწმობის გაუქმებიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეეძლება მიმართოს მომსახურების სააგენტოს, გამოცდის თავიდან ჩაბარებისა და მართვის მოწმობის ხელახლა აღების მიზნით.

მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულები წლის ბოლოს ანულირდება და ყოველი წლის პირველი იანვრიდან მას კვლავ ახალი 100 ქულა მიენიჭება.

პროგრამის პრეზენტაციაზე გაირკვა, რომ მომავალი წლის მარტიდან მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტი შეიზღუდება:

გიორგი მღებრიშვილის განმარტებით, მარჯვენასაჭიან ავტომანქანებზე დამატებითი გადასახადებისა და ახალი რეგულაციების შემოღება არ იგეგმება. ცვლილებები არც მარჯვენასაჭიანი ავტომანქანებით გადაადგილების აკრძალვას გულისხმობს. მფლობელებზე, რომლებსაც მსგავსი ავტომანქანები უკვე რეგისტრირებული აქვთ, შეზღუდვა არ გავრცელდება. აკრძალვა, ასევე არ ეხება ტრანზიტს, დროებითი შემოყვანის რეჟიმს, რეექსპორტსა და იმპორტს: *"სტატისტიკა საკმაოდ საგანგაშოა. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების იმპორტი 50%-ს გაუტოლდა. ასეთი რამ მსოფლიოს ორ ქვეყანაშია, სადაც მარცხენასაჭიანი ავტომანქანებით მოძრაობაა და ეს ქვეყნებია _ ავღანეთი და ბირმა. მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების მაქსიმალური დასაშვები პროცენტული რაოდენობა ყველა ევროპულ ქვეყანაში 10%-ია. 2013 წელს დარეგისტრირდა 71 182 მარცხენასაჭიანი და 12 542 მარჯვენასაჭიანი ავტომანქანა; 2014 წელს _ 67 515 მარცხენასაჭიანი და 34 000 მარჯვენასაჭიანი; ხოლო 2015 _ 47 672 მარცხენასაჭიანი და 32 025 მარჯვენასაჭიანი. თუ ეს დინამიკა გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში მოძრაობის მიმართულების ცვლილება დაგვჭირდება"*, _ განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

გარდა ამისა, საქართველოში ფარული პატრულირების შემოღება იგეგმება: "*ფარული პატრულირების შემოღება გულისხმობს, რომ პოლიციის მანქანები ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, მაგალითად, მიკროავტობუსის ფორმით, წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით იმოძრავებენ, ავტომატურად რეალურ დროში დააფიქსირებენ დარღვევებს და მძღოლთან კონტაქტის გარეშე მოხდება დამრღვევი პირების გამოვლენა და დაჯარიმება ვიდეოჯარიმების რეჟიმში.*

*დღეს წინასწარ ცნობილია, თუ სად დგას რადარი და მძღოლი ცდილობს, ფრთხილად იყოს. სხვადასხვა დროს ეს რადარები სხვადასხვა ადგილას იქნება განთავსებული.*

*ვფიქრობთ, რომ ორივე მექანიზმი, რომელიც სიახლეა, გააძლიერებს, ერთი მხრივ, პოლიციის შესაძლებლობებს, რომ გზა გააკონტროლონ და მეორე მხრივ, მძღოლებს გაუჩენს განცდას, რომ რეალურად კონტროლი ხორციელდება იქ, სადაც საპატრულო პოლიციის ციმციმები არ ჩანს"*, _ განმარტავს შალვა ხუციშვილი.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ახალი პროექტის თანახმად, ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე ჯარიმა გაიზრდება და მისი ოდენობა 300 ლარით განისაზღვრება.

40 კილომეტრ/საათის ფარგლებში სიჩქარის გადაჭარბება 50-ლარიან სანქციას გამოიწვევს, ხოლო 40 კილომეტრ/საათზე ზევით სიჩქარის გადაჭარბება უფრო მკაცრად დაისჯება: *"მნიშვნელოვანი სიახლეა ასევე ღერძულა ხაზის გადაკვეთის შედეგად საპირისპირო ზოლში მოძრაობის რეგულაციაში. ალბათ, ბევრი შენიშნავდით, როდესაც თქვენ თქვენს ზოლში მოძრაობთ და ხედავთ, შუქნიშანზე გაჩერებულ, ან საცობის შემთხვევაში, როგორ გადაკვეთს რომელიმე თავხედი მძღოლი ღერძულა ხაზს და მოძრაობს პარალელურად საპირისპირო ზოლში იმისთვის, რომ გაასწროს ამ რიგს. ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა და ჩვენი ინფორმაციით, საცობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევია, ამიტომ ასეთი ქმედება 300-ლარიანი ჯარიმით დაისჯება"*, _ განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

მისივე თქმით, მძღოლი სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძროსა და პოლიციისთვის გზის არდათმობის გამო შესაძლოა, 300 ლარით დაჯარიმდეს: *"დღეისთვის ჩვენ გვაქვს მდგომარეობა, როდესაც სასწრაფოსთვის გზის არდათმობა მართვის მოწმობის ჩამორთმევით ისჯება, თუმცა, აქ სავალალო სტატისტიკა გვაქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასწრაფოსთვის, სახანძროსთვის და პოლიციის მანქანისთვის გზის არდათმობა ამდენად მკაცრი არ უნდა იყოს, თუმცა, ადმინისტრირება უნდა გამკაცრდეს და მართვის მოწობის ჩამორთმევის ნაცვლად, ეს დაისჯება 300-ლარიანი ჯარიმით და ადმინისტრირება ამ მიმართულებით გამკაცრდება"*, _ განმარტა ხუციშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი პროგრამის პრეზენტაციაზე ყურადღება გამახვილდა ავტომანქანების ტექნიკურ გამართულობაზეც. ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა პრემიერმაც _ **ირაკლი ღარიბაშვილი** ავტომანქანების გაუმართაობის პრობლემის ეტაპობრივი მოგვარების მიზნით, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა. მან შსს-ს ინიციატივაზე და დაგეგმილ ცვლილებებზე კომენტარი გააკეთა: *"მესმის, რომ ბევრი ადამიანი ავტომობილს იყენებს, "ტაქსაობს", მაგრამ პირველ რიგში ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენ ჯანმრთელობას. იქნებ, ერთი კაცი გავანაწყენოთ, მაგრამ 10 და 20 ადამიანის სიცოცხლე ვიხსნათ. ვფიქრობ, ამ საკითხზე შეიძლება საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩავატაროთ, მოსახლეობას მივმართოთ კითხვით, რა ურჩევნიათ"*, _ განაცხადა ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე.

როგორც ღარიბაშვილი ამბობს, რაღაც თანხა შეიძლება გაიღოს ადამიანმა, რომელიც "ტაქსაობს" და არ აქვს კატალიზატორი: *"შეიძლება განვადებით გავაკეთოთ, რომ კომპანიამ, რომელიც შემოიტანს ამ კატალიზატორს, განვადებით მისცეს მოსახლეობას. ვიცი, ძალიან ბევრი ადამიანი წუხს ამ საკითხზე"*, _ *თქვა პრემიერმა და დასძინა, რომ შემდეგი ნაბიჯი დაზღვევა და სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება იქნება: "ამას დროში გავწერთ, რა თქმა უნდა, არ მოვთხოვთ მოსახლეობას, რომ ყველაფერი ერთბაშად გააკეთოს. ამას გარდა, ვიცი, რომ სიმსივნის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი სწორედ გამონაბოლქვია"*, _ აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაური შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივას დროულად და მისასალმებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მსგავს საკითხებზე საჭიროა დროული რეაგირება.

მკითხველი

# არც მე და არც ჩოხატაური არ დაგთმობთ შენ!

ჩოხატაურელებს კვირაში მხოლოდ ერთი დღე და ერთი ადგილი აქვთ ყოფითი, უფრო სულის გასატანი პრობლემების მოსაგვარებლად, სიდუხჭირისაგან თავის დაღწევაზე ფიქრით დანისლული ტვინის გასამზეურებლად, მტერ-მოყვარის ამბის მოსაკითხად და რაც მთავარია, კვირის პოლიტიკის "განსახილავ-შესაჯამებლად".

ეს ადგილი ჩოხატაურის ბაზარია, მაგრამ ასეთი არ იყო გასული კვირის დილა.

ერთადერთი თემა: "წუხელის ზალიკო დოუყაჩაღებიენ!"

_ ვიიინ?!

_ ზალიკო, მამალაძე!

ქალს კარტოფილიანი პარკი ხელიდან გაუვარდა, ზოგს ცრემლი მოადგა. ალბათ, ნათესავია, _ ვიფიქრე, მაგრამ ყველა იქ მყოფი მისი ნათესავი ხომ არ იყო?!

შოკი მთელ ბაზარს მოედო! შუადღემდე კი, მთელ ჩოხატაურს!

ყვებოდნენ გაუგონარ ამბავს.

ხელის ზურგით ცრემლის წმენდა სერიალური მოდაა. ხელის გული ამივსო ცრემლმა! სახლში მისვლა არ ღირდა, არც დარეკვა. წერილი მივწერო? _ იმ კვირა დღეს დილიდან აგერ ოთხშაბათი დაღამდა. ვინ იცის, რამდენი ფიქრით დაწერილი წერილი გამოგიგზავნე, ჩემო შვილის მსგავსო, ზალიკო!

უკალმოდ და უქაღალდოდ ვერ მიიღებდი. ახლა "მართალ" წერილს გწერ.

შენმა მამამ, სოლიდური თანამდებობის პირმა ძალიან ნაადრევად, მოკრძალებული ქონება დაგიტოვათ სამ ობოლს, თუმცა, შენმა დედამ ისე გაანაწილა მისი დანატოვარი სულიერი სიმდიდრე, გეყოთ კი არა, თავზეც გადაგდინდათ სამივეს! ეს ის ქალბატონია, რომელიც დიდი ხანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა და იმ შავბნელ ღამესაც, ეტლში მჯდომი, ევედრებოდა ყაჩაღებს _ შვილები არ მომიკლათო!

დედამ და არსთგამრიგემ სამივე შვილი მაღალი ხარისხის ცოდნის მიღების გზაზე შეგაყენათ, გაგატარათ ფართო გზებიც, ბევრი გზა წვრილიც და ... აჰა, თითქოს დაიწყო მშვიდი ცხოვრება. არა, არა! თურმე აქ იწყება მთავარი... არა მხოლოდ სამსახური... არა მხოლოდ ოჯახი... არა მხოლოდ, თუნდაც შვილები... არამედ სიცოცხლე _ არა მხოლოდ შენთვის! სიცოცხლე _ შენი სამშობლოსთვის!

მწარედ გეღიმება, ჩემო ზაალ, არა?! ისევ გავიმეოროთ, ჰოი, უბედური საქართველოვ?

თუ რა ვქნათ ახლა, ამ საშინელებების მაყურებლებმა? ჩვენ ხომ სწორედ ამ ხან უბედურ, ხან ბედნიერ გზაზე მავალმა საქართველომ შეგვახვედრა ერთმანეთს _ მოხუცი პედაგოგი და ახალგაზრდა ექიმი მაშინ, როცა "ნაცებს" საქართველო იქედნურად საქირქილო სიტყვად სჭირდებოდათ, ისე კი მსუყე საბალახოდ იყენებდნენ.

ეს იყო მაშინ, როცა "ნაცებმა" ფარცხმელი ბიჭის ოჯახში, ქათმის ბუდეში კვერცხების ნაცვლად ტყვიები "აღმოაჩინეს". "აღმოჩენა" იყო გოჩა ჯიქიას მანქანაში საკუთარი სამი და მეზობლის ორი ბავშვის ფეხებთან დადებული ასაფეთქებელი ნივთიერებაც.



"ეროვნული ფორუმი" უნდა დაბადებულიყო ჩოხატაურში. შენი მეგობრის მამიდას ეზოში მალულად შევხვდით ერთმანეთს მე, შენ და თამაზ ჯინჭარაძე. გავბედეთ და ლელო გავიტანეთ. მადლობა თქვენ, იმ დარბაზში გადაჭედვამდე თავშეყრილო ხალხო, მუდმივი მადლობა!

იყო ავანტიურა, ცილისწამება, უკადრებელის კადრება. დაზაფრული ჩოხატაური თვალს გვარიდებდა. სადაც ადრე ალტაცებით მხვდებოდნენ, იმ არჩევნების წინ ჩემს დანახვაზე "ღრანჭი" გვერდზე გაურბოდათ და მუნჯდებოდნენ. გამარჯვების შემდეგ დიდი ბრძოლის დიდმა მონაწილემ, შენი სურვილის წინააღმდეგ, პროფესია გვერდზე გადადე და მონაპოვრის შესანარჩუნებლად საკრებულოს თავმჯდომარე გახდი.

"ოუტკივარი თავი ეიტკივაო?" _ იკითხეს ზოგიერთებმა. ერთი შეხედვით, ასეც გეგონება. რაც შენ დაგმართეს, ეს არ არის ერთდროული ტრაგედია. ამაზე უარესი მხოლოდ სიკვდილია!!!

როგორ გაგიმეტეს, ჩემო ზალიკო?! ყოველი გამოსვლის შემდეგ, მადლობის ნიშნად მხარზე ხელს დამადებდი. შენ, ყველა სიკეთის უხმო მსახურო, ახლა ნაგვემ მხრებზე მე დაგადებ ხელს და დაგპირდები _ არც მე და არც ჩოხატაური არ დაგთმობთ შენ!

შენი კაბინეტიდან გამოსული მშვიდი სახეები იმედით მიუყვებიან გზას მუდმივი გაჭირვებისაკენ. "სიკეთე მოკრძალებულია და ხმამაღლა არ გაჰკივის" (პონტრიაგინი). შენს ნაკეთებ სიკეთეს შენ ხმამაღლა კი არა, საერთოდ არ ლაპარაკობ (რავა ვთქვა და არც სხვები იკლავენ დიდად თავს  შენს ნაცვლად ამაზე ლაპარაკით!). ერთს ვიტყვი მხოლოდ _ ახსენა ვინმემ შენი ავტორობით გაკეთებული პროექტი _ შეუფასებელი წიგნი, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან ამოკრებილი მასალები დაღუპულ ჩოხატაურელთა შესახებ?

ამას წინათ აჭარის ტელევიზიამ სოფელ ერკეთზე ორგანყოფილებიანი გადაცემა მოამზადა. მუხლებზე დავიდე შენი წიგნი, მარა რად გინდა? ჩემს ნათქვამს თავიც  მოაჭრეს, მუცელიც გამოღადრეს, ბოლოც წაკვეთეს და შენი ნაღვაწის ადგილი სადღა დარჩებოდა? დარწმუნებული ვარ, ხშირად ფიქრობ საბაზე: კარგისთვის კარგი ვის უქნია?

შენზე მიმტევებელი კაცი არ მეგულება ჩოხატაურში, მაგრამ ახლა ამაზე ვერაფერს ვიტყვი. რაც შენ დაგმართეს, მართლაც "სათქმელად სახელი და შენდობა მოუხერხებელი ცოდვაა".

ქართველებს საუბედუროდ მარჯვენის მოჭრაც შეუძლიათ კარგის გამკეთებლისათვის...

...და მაინც შენ, მე და ჩვენ, ვინც რთულ გზაზე გავიარეთ, ჯერ ბოლომდე არ გავსულვართ. გავლიოთ უნდა ეს გზა, ჩემო ზალიკო! არის დიდი შეცდომები. მეც შევცდი, ზედმეტი მომივიდა, განსაკუთრებით ბატონი ბიძინასა და დეპუტატობის კანდიდატის წარდგენისას. მოვუხადე მე ამაზე ბოდიში ჩოხატაურელებს კაი ხნის წინ.

ღმერთმა ნუ ქნას, ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, კიდევ ერთხელ არ შევდგე იმ ტრიბუნაზე და არ ვთქვა ყველაფერი, ავი თუ კარგი, არ ვთქვა სიმართლე, რომლის გარეშე შლამში ვდგავართ, "შლამისგან კი არ აშენდების ბირთვის-სამშვილდეს ციხენი".

სამართალი პურს ჭამს, ობლის კვერიც გვიან, მაგრამ კარგად ცხვება.

ქედს მოიხრის მთელი ჩოხატაური და საქართველო. ჩვენი გუნდი ისევ უნდა გაუძლვეს წინ მომავალ ბრძოლას. კანონი, ალბათ, თავისას იტყვის. ჩვენ კი, დავანახოთ ყველას, რომ შიშის თესვა არ მოიტანს ნაყოფს; რომ უნდა დასრულდეს მათი ხსენებაც კი, ვისაც შეუძლია, თვით ზაალ მამალაძესაც კი დაესხას თავს.

გამძლეობას გისურვებ, ჩემო ზალიკო და წერილს მაინც აკვიატებული კითხვით ვამთავრებ _ როგორ გაგიმეტეს, ბიჭო?! პასუხს ამ კითხვაზე თავდამსხმელებისაგან ველით და იმედია, სამართალდამცავები მალე მოგვცემენ საშუალებას, ეს კითხვა დავუსვათ იმ არაკაცებს!

*რუსუდან ბერიშვილი*

ჩვენი გამოკითხვა

## რას ფიქრობთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ოჯახის დაყაჩაღებაზე?

თამარ ჯინჭარაძე:



_ არ უნდა ხდებოდეს ასეთი რამ ჩვენს ქვეყანაში. ასე ხელაღებით სხვის ქონებაზე და ჯანმრთელობაზე ხელის აღმართვა დიდი დანაშაულია. ალბათ,  იზრუნებენ, რომ ასეთი რამ აღარ მოხდეს. საკრებულოს თავმჯდომარეს რომ დააყაჩაღებენ, სხვას რაღაც უზამენ?!

ზაურ ჩხაიძე:



_ ვფიქრობ იმას, რომ პატრონი არავინ გვყავს. ამ დროში საკრებულოს თავმჯდომარის ოჯახში რომ გაბედავენ მისვლას თავისუფლად, დასაყაჩაღებლად, სხვას დაინდობენ?!

ელგუჯა ჩხატარაშვილი:



_ ცუდი ფაქტია. ყაჩაღობა ყოველ დროში საშინელებაა. არ აქვს მნიშვნელობა, რა პერიოდში და ვის მიმართ ხდება, ჯერ მარტო სტრესს იღებს ადამიანი ისეთს, რომ მთელი ცხოვრება ემახსოვრება.

დაფინანსებული ფართი

# ოზურგეთში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოსტერი შექმნეს

ქალაქ ოზურგეთში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, გაეროს 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საჯარო დისკუსია გაიმართა ოჯახური ძალადობისა და მისი აღმოფხვრის გზების შესახებ.

შეხვედრების მსვლელობაში, ადგილობრივმა  საჯარო მოხელეებმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა და საზოგადოებრივმა აქტივისტებმა იმსჯელეს ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევ მიზეზებსა და მისი პრევენციის გზებზე. შეხვედრებს უძღვებოდა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ეკატერინე სხილაძე.

შეხვედრების მონაწილეებმა  ნახეს რეჟისორ ზურაბ ინაშვილის დოკუმენტური ფილმი "ხმა ამოიღეთ"", რომელიც შეიქმნა 2014 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და  საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით და შეიცავს რეალურ ისტორიებს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთად შექმნეს ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოსტერები _ "შეღებე სამყარო ნარინჯისფრად!"



ღონისძიება ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის გურიის რეგიონალური კომიტეტის უშუალო ჩართულობით შედგა.

საჯარო შეხვედრების ორგანიზატორები **იყვნენ შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოს სახალხო დამცველთან და ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობით.**

დაფინანსებული ფართი

Estonian Embassy in Georgia

Voice from Georgia

ერთად ევროპისკენ

სოფლის მეურნეობა

# ქართული ლურჯი მოცვი

## დიდ ბრიტანეთში იყიდება

**ამერიკული ლურჯი მოცვი, რომელიც გურიისა და აჭარის მაღალმთიანეთის კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა, უნიკალური თვისებების გამო მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს. საქართველოში მოყვანილი 12 ტონა ლურჯი მოცვი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე წელს პირველად შევიდა. ამჟამად მისი ექსპორტი რუსეთშიც ხორციელდება. თუ რუსეთში 1 კგ ლურჯი მოცვი 3,5 ევრო ღირს, ევროკავშირის ბაზარზე მისი ფასი 4-დან 10 ევრომდე მერყეობს.**

კომპანია "Vanrik Agro Group"-მა ლურჯი მოცვის გაშენება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში 2012 წლის ბოლოს დაიწყო. პროექტში 5 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. ლურჯი მოცვის პლანტაცია ამჟამად 50 ჰექტარზეა გაშენებული. კომპანიის მენეჯმენტი უახლოეს მომავალში მეურნეობის 400 ჰა-მდე გაფართოებას აპირებს.

ქართველი ფერმერები ლურჯი მოცვის მოყვანით USAID-ის კვლევის გაცნობის შემდეგ დაინტერესდნენ. "**ამ კვლევაში ეწერა, რომ დასავლეთ საქართველოში კარგი პოტენციალია ლურჯი მოცვის მოსაყვანად. მოცვს მჟავე ნიადაგი სჭირდება, გურიაში კი სწორედ ასეთი ნიადაგია. პირველ ეტაპზე 147 000 ნერგი დავრგეთ. 16 ჯიშის მოცვი გვაქვს გაშენებული და მოსავალს 15 აგვისტომდე ვკრეფთ. ყველა ჯიში სხვადასხვა დროს იძლევა ნაყოფს**", - ამბობს "Vanrik Agro Group"-ის ფინანსური მენეჯერი **არჩილ პაიჭაძე**, - "წელს პირველი მოსავალი ავიღეთ. მოსავლის საცდელი პარტია - 12 ტონა ლურჯი მოცვი დიდი ბრიტანეთის ბაზარზეც შევიტანეთ. საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვი განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა და ევროპის ბაზარზეც დიდი მოწონებით სარგებლობს. მოსავლის უფრო დიდი პარტია - 25 ტონა რუსეთში გავიტანეთ. ჩვენი მთავარი მიზანი ევროკავშირის და აშშ-ს ბაზარზე გასვლაა. ევროკავშირს რუსეთთან შედარებით უფრო მკაცრი მოთხოვნები აქვს. ევროპის ბაზარი ლურჯი მოცვის რომელიმე კონკრეტული ჯიშის, მაგალითად მისტის ერთი ზომისა და კალიბრის მოსავლის მიწოდებას ითხოვს. მომავალში, როცა ჩვენი პლანტაციის მოსავლიანობა გაიზრდება, ამ მოთხოვნას უპრობლემოდ დავაკმაყოფილებთ. რუსეთში კი პროდუქციის "მიქსი" გავგზავნეთ: საექსპორტო პარტიაში სხვადასხვა ჯიშის და სხვადასხვა ზომის მოცვი იყო შერეული. ასეთ პარტიას ევროპის ბაზარი არ მიიღებს. ლურჯ მოცვს ცუდი ფასი არც რუსეთში აქვს. იქ 1 კგ მოცვი 3,5 ევრო ღირს. თუმცა, ამ კენკრის გაყიდვა ევროკავშირის ბაზარზე უფრო ხელსაყრელია: მაისში, როცა ევროპაში მოცვი ჯერ კიდევ არ არის შემოსული, ჩვენთან კი მოსავლის პირველი პარტია იკრიფება, 1კგ ლურჯი მოცვი 10 ევროც ღირს. როცა მოსავალი კარგად შემოდის, მისი ფასი 4-6 ევრომდე ჩამოდის". "Vanrik Agro Group"-ი ლურჯ მოცვს 200-გრამიან და 4-კილოგრამიან პაკეტებში აფასოებს. ქართულ მიწაზე ადაპტირებული ამერიკული კენკრა ადგილობრივ ბაზარზეც იყიდება. საქართველოში 1კგ ლურჯი მოცვის ფასი 3-დან 9 ლარამდე მერყეობს. "Vanrik Agro Group"-ი ლურჯი მოცვის გადამამუშავებელ საწარმოს აშენებასაც გეგმავს. გადამამუშავებელი ხაზის მოწყობა უკვე დაწყებულია.

როგორც არჩილ პაიჭაძე აცხადებს, მსოფლიოში ლურჯ მოცვზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და მისი მოყვანა მომგებიანია. "Vanrik Agro Group"-ი მომავალ წელს დაახლოებით 50 ტონამდე მოსავალს ელოდება. პროდუქცია ექსპორტზე ძირითადად ევროკავშირში გავა. ამ მიზნით პოლონურ კომპანიასთან მემორანდუმი უკვე გაფორმდა - საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვის ევროპის ქვეყნებში შეტანაზე სწორედ ეს პოლონური კომპანია იზრუნებს.

ლურჯი მოცვი ბუჩქოვანი, კენკროვანი კულტურაა, რომელიც ლურჯი ფერის მრგვალ ნაყოფს ისხამს. ყინვაგამძლეა, უძლებს -20 გრადუს ყინვასაც. ვერ იტანს გვალვას. აუცილებელია მისი მორწყვა. დაავადებების მიმართ მაღალი მდგრადობით ხასიათდება. შეიცავს ჩ ვიტამინს და მთრიმლავ ნივთიერებებს. აქვს ანტიოქსიდური თვისებები. ფართოდ გამოიყენება კულინარიასა და ხალხურ მედიცინაში. მაღალი კვებითი და დიეტური თვისებების გამო ის ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში და მომხმარებელთა დიდ ყურადღებას იმსახურებს. კენკრის ორიგინალური, მომჟავო-მოტკბო გემო მის პოპულარობას კიდევ უფრო ზრდის. მას ხმარობენ როგორც ნედლი, ისე ჩირის სახით. ლურჯი მოცვის ბუჩქი სიმაღლეში 2 მეტრამდე იზრდება. მას 150-მდე ჯიში აქვს: ლეგასი, ოლეინი, მისტი, ბრიჯიტა, დიუკი, პატრიოტი... ლურჯი მოცვის გაშენებისთვის საჭიროა



ტენიანი, მსუბუქი და კარგი დრენაჟის მქონე ნიადაგი. ის კარგად ხარობს მხოლოდ მჟავე ნიადაგებზე, ანუ იმ ნიადაგებზე, რომელიც ჩაის გასაშენებლად არის რეკომენდებული.

### მოცვისპლანტაცია

ლურჯი მოცვი პირველ მოსავალს დარგვიდან მე-2 წელს იძლევა. 2 წლის ბუჩქიდან საშუალოდ 2კგ-მდე მოსავალი იკრიფება. სრულ მოსავლიანობას მცენარე 5-6 წელში აღწევს. 6 წლის თავზე ერთი ძირი ბუჩქი 5-8 კგ მოსავალს იძლევა. ლურჯი მოცვის სიცოცხლის ხანგრძლივობა 50 წელია.

ამ კენკრის პლანტაციის გაშენება იაფი საქმე არ არის. ლურჯი მოცვის 1ჰა-ზე გაშენებას დაახლოებით 17 000 ლარი სჭირდება. მორწყვისთვის აუცილებელია წვეთოვანი სისტემის გაკეთება, რაც დამატებითი ფინანსური ინვესტიციის განხორციელებას მოითხოვს. სამაგიეროდ, საქმიანობის სწორად დაგეგმვისა და კარგი მენეჯმენტის პირობებში ლურჯი მოცვის პლანტაცია ძალიან მომგებიანია და მას მცირემიწიანი ფერმერებისთვის სერიოზული ეკონომიკური ეფექტის მოტანაც შეუძლია.

გაეროს განვითარების ფონდის ხელშეწყობით, ლურჯი მოცვი აჭარის სამ სადემონსტრაციო ნაკვეთზე მოჰყავთ: შუახევში, ქედასა და ხულოში.

"**ჩვენ დიდხანს ვსწავლობდით ამ საკითხს. გვინდოდა მოგვეძებნა სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურა, რომელიც ტრადიციულ, მაგრამ დაბალშემოსავლიან კულტურებთან შედარებით მცირემიწიან ფერმერებს სერიოზულ ეკონომიკურ ეფექტს მოუტანდა. მოცვი სწორედ ასეთი მცენარეა**", - ამბობს გაეროს განვითარების ფონდის წარმომადგენელი აჭარაში **ლაშა კომახიძე,** - "მისი წარმოების ღირებულების ჯაჭვი, მოყვანიდან დაწყებული პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული, ამის საშუალებას იძლევა. აჭარელ ფერმერს შეუძლია, რომ ცუდი გეოგრაფიული მდებარეობით გამორჩეულ და მძიმე ტექნიკისთვის მიუდგომელ 2000-2200 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (სწორედ ასეთი ფართობის ნაკვეთები აქვს აჭარელ ფერმერთა 90%-ს), საგრძნობი ეკონომიკური ეფექტი ნახოს და იქ, სადაც ადრე 200 ლარის ღირებულების სიმინდის მოსავალს იღებდა, მინიმუმ 7 000 ლარის ღირებულების ლურჯი მოცვის პროდუქცია მოიყვანოს. ბაზარზე მის რეალიზაციას პრობლემა არ ექმნება. ამჟამად ლურჯი მოცვის მიწოდება მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. მოცვზე მაღალი მოთხოვნაა ადგილობრივ ბაზარზეც".

კომახიძის თქმით, ახლა ფერმერებს აქვთ საშუალება მათ მიერ მოყვანილი მოცვი "აგროსერვისცენტრის" მაცივარში შეინახონ და შემდეგ ბაზარს მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდონ. "აგროსერვისცენტრს" აჭარაში აქვს -35 გრადუსზე გაყინვის შოკური მაცივარი, -17 გრადუსზე გრძელვადიანი გაყინვისა და შენახვის მაცივარი და მოკლევადიანი შენახვის მაცივარი. გარდა ამისა, სერვისცენტრს აქვს თანამედროვე, უახლესი ტიპის იტალიური საშრობი, რომელიც 340 კგ ნედლ მოცვს 48 საათში აშრობს. მშრალი სახით შესაძლებელია მოცვის ჩაის წარმოება, რომელიც ბევრი სამკურნალო თვისებით გამოირჩევა.

"**ევროპელ მყიდველს სჭირდება პროდუქციის მსხვილი რაოდენობები. 2-3 ფერმერს არ აქვს მოსავლის ის რაოდენობა, რომელსაც ევროპული მარკეტები ითხოვენ. ჩვენს სადემონსტრაციო ნაკვეთში 5 ტონა მოცვი მოდის. ეს ძალიან მცირე რაოდენობაა. იმისთვის, რომ ქართულმა ლურჯმა მოცვმა ევროკავშირის ბაზარზე ადგილი დაიმკვიდროს, ფერმერებმა აუცილებლად უნდა გაამსხვილონ მოცვის პლანტაციების ფართობი, ან მოსავლის გასაყიდი პარტიების მოცულობა**", - ამბობს **ლაშა კომახიძე.**

ლურჯი მოცვის ნერგის შეძენა საქართველოშიც არის შესაძლებელი."Vanrik Agro Group"-ს ხელვაჩაურში საკუთარი ფიტოლაბორატორია აქვს, სადაც მიკრო კლონირების მეთოდით ლურჯი მოცვის, ჟოლოს და მაყვლის სხვადასხვა ჯიშები გამოჰყავთ. 1-დან 2-წლამდე ასაკის ლურჯი მოცვის ნერგი 8 ლარი ღირს, 1 წლამდე ასაკისა კი - 5 ლარი.

ალიანსი

# ალიანსის გადაწყვეტილება

ვარშავის სამიტისთვის ნატო საქართველოსთან პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ახალ პრაქტიკულ გზებს შეისწავლის, - ამის შესახებ ნათქვამია ნატო-ს 28 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების კომუნიკეში.

"2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ჩვენ შევთანხმდით, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი და მიიღებს MAკ-ს, როგორც ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს. დღეს კვლავ ვადასტურებთ ამ გადაწყვეტილებას, ისე როგორც შემდგომ გადაწყვეტილებებს.

ჩვენ მივესალმებით იმ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელიც მიღწეულ იქნა 2008 წლის შემდეგ. საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან შეიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც საჭიროა საბოლოო წევრობისთვის მოსამზადებლად", - ნათქვამია კომუნიკეში.

ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრები, ასევე, მოუწოდებენ საქართველოს, გააგრძელოს ალიანსთან დაახლოების ყველა შესაძლებლობის სრული გამოყენება.

"ჩვენ მივესალმებით მნიშვნელოვან პროგრესს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების გზაზე, მათ შორის ერთობლივი სწავლებების დაწყებას, მომზადებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის გახსნას, რომელიც ეხმარება საქართველოს, გააძლიეროს ქვეყნის თავდაცვითუნარიანობა და სამხედრო შესაძლებლობები", - ნათქვამია კომუნიკეში.

გარდა ამისა, ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრები აცხადებენ, რომ კვლავ გააგრძელებენ ყველა რესურსის უზრუნველყოფას, რომელიც არსებითი პაკეტის იმპლემენტაციისთვის არის საჭირო და რომელიც მიმართულია საქართველოს შესაძლებლობების განმტკიცებისკენ.

"ვარშავის სამიტისთვის მზადების ფარგლებში, ჩვენ შევისწავლით ახალ, პრაქტიკულ გზებს, რათა უფრო ინტენსიური გავხადოთ ძალისხმევა, მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის და მზარდი კოოპერაციის გზის ჩათვლით, მათ შორის თავდაცვისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში.

ნატო აღიარებს საქართველოს ძალისხმევას, გააძლიეროს დემოკრატია, მათ შორის მოახდინოს სასამართლო სისტემის და უსაფრთხოების სამსახურების რეფორმირება და სამხედრო ძალებისა და თავდაცვის ინსტიტუტების მოდერნიზება.

მედიის თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის კუთხით ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს, შეინარჩუნოს ტემპი რეფორმების ძალისხმევაში, რომელსაც ჩვენ კვლავ ვუჭერთ მხარს.

ნატო მაღალ შეფასებას აძლევს საქართველო კონტრიბუციას ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში და ჩვენ ოპერაციებში ავღანეთში და აღიარებს იმ მსხვერპლს და წვლილს, რომელიც ქართველმა ხალხმა ჩვენს საერთო უსაფრთხოებაში შეიტანა.

ჩვენ კვლავ ვადასტურებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში... - ნათქვამია ნატო-ს კომუნიკეში.




ამ გვერდის სპონსორია
შპს
"გზამშენი 18"
შენც გახდი
ჯანმრთელობის
მხარდამჭერი!

# როგორ ვებრძოლოთ გრიპს

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2015-16 წლების გრიპის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, ხორციელდება მწვავე რესპირაციული ინფექციების, გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებების ეპიდზედამხედველობის ღონისძიებები.**



გრიპის პროფილაქტიკის მიზნით, 2015-16 წლის გრიპის სეზონისთვის, **ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო)** მიერ რეკომენდირებულია სეზონური ვაქცინა.

ჯანმო რეკომენდაციას იძლევა წლიური ვაქცინაცია ჩაუტარდეს (პრიორიტეტის მიხედვით) თავშესაფართა სახლების რეზიდენტებს; ქრონიკული დაავადების მქონე პირებს; ხანდაზმულებს და სხვა ჯგუფებს, როგორიცაა ორსულები, ჯანდაცვის მუშაკები, სოციუმში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პირები, ასევე, 6 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვები.

2015-2016 წლების სეზონისთვის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესყიდულ იქნა 10 000 დოზა გრიპის ვაქცინა.

სახელმწიფოს მიერ მაღალი რისკის ჯგუფებად განისაზღვრა: ქრონიკული დაავადების მქონე პირთაგან: 18 წლამდე ასაკის დიაბეტით დაავადებულნი, დიალიზზე მყოფნი; ბავშვთა სახლების, მოხუცთა თავშესაფრების ბინადარნი და მათი მომსახურე პერსონალი; სასწრაფოს, მიმღები განყოფილებების, რეანიმაციის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, დიალიზის განყოფილებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრების მომსახურე პერსონალი.

გრიპისმაგვარი დაავადების პრევენციის მიზნით რეკომენდებულია: ხელების ჰიგიენისა და ხველის/ცემინების წესების დაცვა; დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში (მაღალი ტემპერატურა, ხველა), საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე მოხვედრისგან თავის არიდება; სათავსოების ხშირი განიავება; საერთო მოხმარების ზედაპირების სველი წესით დასუფთავება.

ისეთი სიმპტომების გაჩენის შემთხვევაში, როგორიცაა: შეუპოვარი ან გახანგრძლივებული ცხელება; ტკივილი გულმკერდის არეში; ციანოზი (სილურჯე ცხვირტუჩის არეში); სუნთქვის გართულება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, 1 დეკემბრის მონაცემებით, ოზურგეთში აცრილია 172 ადამიანი, ლანჩხუთში _ 81, ჩოხატაურში _ 74 პირი.

სპეციალისტები რისკის ჯგუფის ქვეშ მყოფ ადამიანებს ურჩევენ, დროულად გაიკეთონ ვაქცინა და თავი დაიცვან ვირუსისაგან.

**გასათვალისწინებელი მედიკოსების სხვა რჩევებიც:**

არ მიიტანოთ ხელები პირთან, ცხვირთან და თვალებთან. გადაეჩვიეთ მავნე ჩვევებს, როგორიცაა, ფრჩხილების კვნეტა;

მიიღეთ დიდი ოდენობით სითხე, განსაკუთრებით წყალი (6-8 ჭიქა ყოველდღე) და შეეცადეთ მოერიდოთ კოფეინის შემცველ სასმელებს;

ივარჯიშეთ ბევრი _ ვარჯიში ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას და იმუნურ სისტემას აძლიერებს. ასე რომ, ვარჯიში დაგეხმარებათ ვირუსების თავიდან აცილებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს კვებას _ მიიღეთ ცილებით, ნახშირწყლებით მდიდარი და დაბალი ცხიმის შემცველობის მქონე საკვები.

შეეცადეთ 7-8 საათი მაინც გეძინოთ _ კვლევები აჩვენებს, რომ არასაკმარისი ძილის დროს, იმუნური სისტემა ვერ ფუნქციონირებს ნორმალურად და ორგანიზმი დასუსტებულია. საკმარისი ძილი თქვენი მეგობარია ვირუსებთან ბრძოლაში.

# რა არის რკინის დეფიციტი




რკინა ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანის ორგანიზმში. ის წარმოადგენს ასეულობით ცილოვანი მოლეკულისა და ფერმენტის აუცილებელ კომპონენტს.

რკინის დეფიციტის ძირითად გამოვლინებას რკინა-დეფიციტური ანემია წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ რკინის დეფიციტი შეიძლება გამოწვეული იყოს არა მხოლოდ რკინის შემცველი პროდუქტების არასაკმარისი მიღებით, არამედ, აგრეთვე ფოლიუმის მჟავას და B12 ვიტამინის ბრალეულობით, ჰელმინთოზით, სისხლის დაკარგვით და სხვ.

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის** ინფორმაციით, რკინის დეფიციტმა, შესაძლოა, შეაფერხოს ნაყოფის მოტორული ან მენტალური ფუნქციის ნორმალური განვითარება; რკინა-დეფიციტური ანემია ორსულობის პერიოდში ზრდის ნაყოფის ზრდის შეფერხების და ნაადრევი მშობიარობის რისკს; რკინის დეფიციტის შედეგად მკვეთრად ქვეითდება შრომის უნარი მოზრდილებში. ასევე, უარყოფითად მოქმედებს მეხსიერებასა და სხვა მენტალურ ფუნქციებზე; ბავშვებში რკინადეფიციტური ანემია იწვევს ყურადღების კონცენტრირების უნარის დარღვევას, მეხსიერების, შემეცნების პრობლემებსა და სწავლის უნარის დაქვეითებას; ხშირია, აგრეთვე, ქცევითი დარღვევების განვითარების რისკი.

რკინის დეფიციტი იწვევს ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას.

ზრდის სწრაფი ტემპის გამო, ჩვილი და მცირე ასაკის ბავშვები, ისევე როგორც მოზარდები, საჭიროებენ რკინის უფრო მეტ რაოდენობას. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ზოგჯერ ვერ ხერხდება მხოლოდ საკვების საშუალებით.

რკინის ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობა სჭირდება, ასევე, ორსულის ორგანიზმს და მეძუძურ დედებს. უმრავლეს შემთხვევაში, ექიმები საჭიროდ თვლიან რკინის პრეპარატების დამატებით დანიშვნას ორსულებში.

საკვებიდან ათვისებული რკინის რაოდენობას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი: ფრინველის, საქონლისა და თევზის ხორცში შემავალი რკინა ("ჰემური" რკინა) 2-3-ჯერ უფრო კარგად შეიწოვება მცენარეების რკინასთან შედარებით ("არაჰემური" რკინა).

მცენარეებიდან შეწოვილი რკინის რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სხვა რა საკვებთან ერთად ვილებთ მას.

"ჰემური" (heme) რკინის შემცველი საკვები (ფრინველის, საქონლის ხორცი და თევზი) ხელს უწყობს "არაჰემური" (nonheme) რკინის შემცველი საკვებიდან (ფორტიფიცირებული მარცვლეული, ზოგიერთი პარკოსანი, ისპანახი) რკინის ათვისებას.

C ვიტამინის შემცველი საკვები, ასევე, აადვილებს "არაჰემური" რკინის შეწოვას ერთდროულად მიღების შემთხვევაში.

ჩაის, ყავის, რძის და ზოგიერთი სხვა პროდუქტის შემადგენლობაში შემავალი გარკვეული ნივთიერებები (პოლიფენოლები, ფიტატები, კალციუმი) ართულებენ საკვებიდან "არაჰემური" რკინის შეწოვას.

რკინით მდიდარი პროდუქტებია: ხილი (გარგარი, ანანასი, ყურძენი, ვაშლი), მჭლე ხორცი (საქონლის და ღორის ღვიძლი), თევზი, მოლუსკები, ხამანწკები, ბოსტნეული (წითელი წიწაკა, სალათის ფოთოლი, კარტოფილი, ნიორი) პარკოსნები (ლობიო), რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, ნიგოზი და მარცვლოვანი პროდუქტი, გოგრის თესლი, კომბოსტო (ყვავილოვანი კომბოსტო), ჭარხალი...

ცხოველური საკვებიდან რკინა უფრო კარგად შეიწოვება, ვიდრე მცენარეულიდან. რკინის შეწოვა ამ პროდუქტებიდან მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კვების რაციონზე.

**რკინის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად მედიკოსების რჩევები ასეთია:**

იკვებეთ ჯანსაღად და რკინის საკმარისი რაოდენობით შემცველი საკვებით. გარდა ამისა, მიირთვით საკვები, რომელიც დაეხმარება თქვენს ორგანიზმს რკინის უკეთ ათვისებაში.

**მაღალი რისკის ჯგუფებისთვის მოწოდებულია შემდეგი რეკომენდაციები:**

ბავშვები

სასურველია, პირველი 12 თვის განმავლობაში ბავშვი გყავდეთ ძუძუთ კვებაზე (ვინაიდან ქალის რძიდან საუკეთესოდ ხდება რკინის შეწოვა), 4-6 თვიდან კი დააწყებინოთ რკინით გამდიდრებული საკვების მიღება. ორი ან სამი ამგვარი კვება დღეში აკმაყოფილებს ამ ასაკში რკინისადმი მოთხოვნილებას.

6 თვის ასაკიდან ყოველდღიურად მიეცით C ვიტამინითა და რკინით მდიდარი პროდუქტები ერთ კვებაზე, რაც ხელს შეუწყობს რკინის უკეთ ათვისებას.

ხელოვნური კვებისას, გამოიყენეთ რკინით გამდიდრებული ფორმულა.

თუ თქვენი ბავშვი დაიბადა ნაადრევად ან მცირე წონით, მიიღეთ ექიმისგან რეკომენდაციები რკინის წვეთების მიცემის თაობაზე.

1-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვს მიეცით რკინით მდიდარი საკვები. ასევე, C ვიტამინით მდიდარი ხილი, ბოსტნეული და წვენები.

ქალები

სქესობრივად მომწიფებულმა და რეპროდუქციული ასაკის ქალებმა მიირთვით რკინით მდიდარი პროდუქტები. მიირთვით წითელი მჭლე ხორცი, ფრინველის ხორცი და თევზი. ამ საკვებში შემავალი რკინა ორგანიზმისთვის უფრო ადვილად ასათვისებელია მცენარეების შემადგენლობაში შემავალ რკინასთან შედარებით;

მიირთვით C ვიტამინით მდიდარი პროდუქტები.

ორსული ქალები

მიირთვით რკინით და C ვიტამინით მდიდარი პროდუქტები;

გაიარეთ ექიმთან კონსულტაცია, ჩაიტარეთ სისხლის ანალიზი, შრატის რკინის კონტროლი საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მკურნალობისა და რკინის დანამატების მიღების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ანემიის დაახლოებით 2 მილიარდი შემთხვევა აღირიცხება მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში. სხვადასხვა გენეზისის ანემიათა შორის რკინა-დეფიციტურ ანემიაზე (რდა) მოდის 70-80%. ის ყველაზე ხშირად გვხვდება რეპროდუქციული ასაკის ქალებში, ორსულ და მეძუძურ ქალთა შორის, აგრეთვე ადრეული ასაკის ბავშვებში. განსაკუთრებით მაღალია ავადობის სიხშირე სუსტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში (არასრულფასოვანი კვება _ რკინით, ცილებითა და ვიტამინებით ღარიბი საკვები პროდუქტების მიღება, სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობა). დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ბოლო წლებში რდა ავადობამ მოიმატა საქართველოშიც.

ჯანმოს რეკომენდაციების მიხედვით, საქართველოსთვის ანემია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის "საშუალო" სირთულის პრობლემას წარმოადგენს (პრევალენტობა 20-39%). ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.



# კვირის საეკლესიო კალენდარი

7 დეკემბერი _ ხსენება დიდმოწამისა ეკატერინე ყოვლადბრძენისა, ალექსანდრიელისა (305); მოწამეთა ავგუსტასი-აგვისტა დედოფლისა, პორფირი სტრატილატისა და 200-თა მხედართა (305);

8 დეკემბერი _ წარგზავნა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულისა. ხსენება მღვდელმოწამეთა კლიმენტი რომის პაპისა (101) და პეტრესი, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა (311);

9 დეკემბერი _ ხსენება ღირსისა ალვიპი მესვეტისა (VII); ღირსისა იაკობ განდეგილისა (457); დიდმოწამე გიორგის ტაძრის განახლებისა კიევში (1051); ღირსისა აკაკი სინელისა "კიბესა" შინა მოხსენიებულისა (VI);

10 დეკემბერი _ ხსენება დიდმოწამისა იაკობ სპარსისა (421); ღირსისა პალადი ალექსანდრიელისა (VI-VII); ღირსმოწამეთა ჩვიდმეტთა მონაზონთა ინდოეთს (IV); ღირსისა რომანოზისა (V);

11 დეკემბერი _ ხსენება ღირსმოწამისა და აღმსარებელისა სტეფანე ახლისა (767); მოწამისა ირინარქესი და წმიდათა 7-თა დედათა (303); მოწამეთა: სტეფანესი, ბასილისა, გროგოლოსა, იოანესი და სხვათა მრავალთა (VIII);

12 დეკემბერი _ ხსენება მღვდელმოწამისა აბიბოსისა, ნეკრესელი ეპისკოპოსისა (VI); მოწამისა პარამონისა და მისთანა 370-თა მოწამეთა (250);

13 დეკემბერი _ ხსენება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებლისა (I); წმიდისა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა (502);

# რასაც ვაკეთებთ სათნოა ღვთისათვის?

მამა პაისი ათონელი ბრძანებდა: მღვიძარება აუცილებელია, რასაც არ უნდა აკეთებდეს კაცი, ღვთისთვის უნდა შეასრულოს... ყოველდღე კაცმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს: დაუშვათ, მე მომწონს, რასაც ვაკეთებ, მაგრამ განა სათნოა ღვთისთვის? და განიხილოს საქმე უფლისთვის სასურველი არის თუ არა. თუ ამის გაკეთებას ივიწყებს, შემდგომ ივიწყებს ღმერთსაც, ამიტომ ძველ დროში ამბობდნენ: "ღვთის გულისათვის", ოჰ, შე უღმერთოვ, უფლის არ გეშინია?!" ანდა: "თუ ღმერთს უნდა", " როგორც ღმერთი მოგვცემს". ძველი ხალხი გრძნობდა ღვთის ყველგანმყოფობას, მათ თვალთა წინ ყოველთვის უფალი ჰყავდათ და იყვნენ ფხიზლად. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე როგორ გადაჭიმა მეფე დავითმა საქართველო? როგორ და "არა სცა ძილი თუალთა, არცა თავის სხეულს მისცა დასვენების უფლება, არც საჭმელ-სასმელის მიმართ მიდრიკა და არც ხორცის ჭკუაზე წავიდა, განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულე და ყოველი უწესობა მოსპობილი იყო". მის ლაშქარშიც მარადის ფხიზლობდა მეფე და ჯარისკაცთაც მიჰბაძვიდა.

მხოლოდ ღვთის სჯულს გამოეძიებდა და სასულიერო წიგნთა კითხვა იყო მისი საჭმელიც და სასმელიც. გავიხსენოთ ცხონებული მეფე ერეკლეც. ერთი გლეხი ტიროდა თურმე _ მომეძინა და ქურდებმა საქონელი მომპარესო. მერე ასე როგორ ჩააგეძინაო? _ ჰკითხა ერეკლემ. "რა ვიცოდი, მე მეგონა, მეფე ერეკლე ფხიზლობდა", _ უპასუხა გლეხმა.



# ეს სასწაული მადრიდში აღესრულება

მადრიდში, მაცხოვრის განკაცების სამეფო მონასტერში ინახება ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პატივცემული სიწმინდე _ სისხლი წმინდა დიდმოწამისა და მკურნალისა პანტელეიმონისა, რომელიც წელიწადში ერთხელ თხევად მდგომარეობას იღებს.

სისხლი, რომელიც მყარ მდგომარეობაშია, მთელი წლის მანძილზე, ადამიანის ყოველგვარი ჩარევის გარეშე სითხედ გადაიქცევა. ეს სასწაული მადრიდში წმინდანის მოწამეობრივი სიკვდილის წინა დღეს, 26 ივლისს (ახ. სტ.), მინის ფლაკონით წმინდა პანტელეიმონის სისხლის მონასტერში მობრძანების დღიდან აღესრულება. 1914-1918 წლებში, პირველი მსოფლიო ომის დროს, ასევე, 1936 წელს, როცა სამოქალაქო ომი დაიწყო, ესპანეთში ეს სასწაული არ განმეორებულა. ყოველწლიურად უამრავი მორწმუნე მოდის მადრიდში სიწმინდისთვის პატივის მისაგებად. ცნობისმოყვარეებიც მრავლად არიან, რომელთაც სურთ, თვალი ადევნონ ამ საკვირველ მოვლენას. 1933 წლიდან აკრძალულია სიწმინდესთან შეხება.

# სულისთვის სასარგებლო რჩევები

გადმოცემა მარხვის შესახებ ისეთივე ძველია, როგორც თვით სამყარო, პირველი მცნება, რომელიც ადამიანს უფლისგან მიეცა, მარხვის შესახებ მცნება იყო.

*წმ. იოანე ოქროპირი.*

საკუთარ ძალებზე აღმატებული მარხვა არ უნდა იტვირთო, მარხვა დაწესდა ადამიანისათვის და არა ადამიანი მარხვისათვის.

*წმ. იოანე ოქროპირი*

გარეგნული ხილული სიკეთე შინაგანის გარეშე მლიქვნელობა და ტყუილია.

*წმ. ტიხონ ზადონელი*

რა ზომის სარწმუნოებითაც აღვასრულებთ ღვთის მცნებებს, სულიწმიდა თავის ნაყოფს იმდენად აღმოაცენებს ჩვენში.

*წმ.მარკოზ მოსაგრე.*

შეგეძლოს თავის დამდაბლება, ეს ნიშნავს შერგძლოს იესო ქრისტესთვის მიბაძვა.

*წმ. ბასილი დიდი*

## განცხადებები


### სამშენებლო ბლოკი

გაისნა ახალი საწარმო.
ვამზადებთ მაღალი
ხარისხის სამშენებლო ბლოკს:
12-15-20-სანტიმეტრიანი.

ჩოხატაური, სოფელი დაბლაციხე
(სტადიონთან).
ტელ: (599) 797312, (595)321454.




### ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო გთავაზობთ მომსახურებას:
მაცივარი და მიცვალებულის ჩაცმა 60 ლარიდან, გამზადებული სასახლეები _ 180 ლარიდან, სუდარა, საფლავის ამოღება, კატაფალკა, ეკვდერის დამზადება, მარმარილოს ქვები. სრული სერვისის შემთხვევაში _ სუდარა უფასოდ.
ჩოხატაური, ბეჟან ხაბეიშვილი.


(599) 903501, (579) 231023,

ან იჯარით ავიღებ 10 ჰექტარამდე მიწის ფართობს.
ტელ: (593) 116012, (557) 246902.

### უმაღლესი ხარისხის ფოტოების ბეჭდვა

უახლესი ციფრული ტექნოლოგიით შეგვიძლია, გადაგიღოთ, დაგისკანეროთ, აღგიდგინოთ და ამოგიბეჭდოთ უმაღლესი ხარისხის ფოტოსურათები.



*ჩოხატაური, დუმბაძის 25, გაზეთ "გურია ნიუსის" ჩოხატაურის ოფისი, I სართული, საკანცელარიო მაღაზია*

### ყურადღება!

ჩოხატაურში, #1 საჯარო სკოლაში გაიხსნა განათლების, კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის ფილიალი, სადაც ყველა მსურველს შეუძლია ინგლისური ენის შესწავლა ბრიტანეთში აკრედიტირებულ პედაგოგებთან.
სწავლა დაწყებულია.
მიღების დღეები: სამშაბათი-პარასკევი, 2-დან 4-საათამდე.
ტელ: (591) 688577, (557) 474773, (790) 743377.
Site: www.evpatori.ge
Mail: info@evpatori.ge



### ყურადღება!

ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს გავუწევ საგადასახადო და ბუღალტრულ მომსახურებას.


ტელ: (595) 430033.


## უფასო განცხადებები


### იყიდება

ჩოხატაურში, საკოლმეურნეო ბაზართან, უნივერმაღის გვერდით, 45 კვმ. ფართის შენობა. ტელ: (+591) 154545.

ავტომანქანა "მერსედესი 190", მუშა მდგომარეობაში, გაზზე.
ფასი 1200 ლარი.
ტელ: (599) 020728.

ფუტკრის ოჯახები.
ტელ: (593) 112008.

12 ოჯახი ფუტკარი.
ტელ: (551) 328714.

მამალი ცხენი, 5 წლის, დაწმენდილი. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 175338, დოდო.

18-22 კგ-იანი ბურვაკები.
ტელ: (593) 356757.

4 თხა ან იცვლება შეშაზე.
ტელ; (593) 423400.

კივის ნერგები. ტელ: (558) 976064.

ჩოხატაურის რაიონში, წლინახევრის "ავჩარკა" ან გაიცემა.
ტელ: (595) 306106.

ფური, 150 კგ-იანი. ნავთის 2-ტონიანი ავზი. ტელ: (577) 926243.

საუკეთესო ჯიშის ფურები, 3 წლის, პირველი ხბოობა, 5 თვის მაკე, მეორე 2 წლის, 3 თვის მაკე.
ტელ; (557) 900225, (555) 350189.

კარგი ჯიშის ძროხა, 6 თვის მაკე, მეორე ხბოობა, 8 ლიტრი წველადობის, 9 თვის მოზვერი ხბოთი. შეიძლება გაიყიდოს ცალ-ცალკეც.
ტელ; (599) 6207585.

### ქირავდება!

ჩოხატაურში, ცენტრალურ ადგილზე, 9 აპრილის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის ნაწილი. ტელ: (593) 715174.

ჩოხატაურის ცენტრში, სასაწყობე ფართი. ტელ: (577) 957903.

ჩოხატაურში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახლის პირველ სართულზე, 4-ოთახიანი ბინა, გაზით, წყლით, სახლის წინ პატარა ეზოთი, ხეხილით გაშენებული, ჭით.
ტელ: (595) 850388,(577) 285209.

### შევიძენ!

საბუხრე "ჯიკვებს", ხმელ მდგომარეობაში.
ტელ: (595) 858315.

### უფასო განცხადების ტალონი №97

--------------------------------------------------

--------------------------------------------------

--------------------------------------------------

--------------------------------------------------

ტელეფონი: --------------------------------------------------

## ჭიჭიკო ჯიბუტი



ორმოცი დღეა, რაც ცათა სასუფეველში დაიდე სამუდამო ბინა. ბედნიერი კაცი იყავი, მაგრამ სიცოცხლის ბოლო დღეები ჩაგიმწარა ჩვენი ოჯახის უზარმაზარმა ტრაგედიამ _ ივლიტას ტრაგიკულმა სიკვდილმა. ღმერთმა ნათელში გამყოფოთ.

*ოჯახი*

---



ომარ, ზვიად, ბაჩუკი მამალაძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი, პატიოსანი, კეთილშობილი პიროვნების, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, დამსახურებული ინჟინრის

**იაშა პავლეს ძე მჟავანაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს, სანათესაოს, ახლობლებს, სამეგობროს.

---



ავთო, მანანა მეგრელიშვილები იუწყებიან

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---



ლელი გაბუნია ოჯახით იუწყება

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



რეზო ხუხუნაიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ზურაბ ხუხუნაიშვილს და მის ოჯახს დედის, გამორჩეული ქალბატონის

**შურა დოლიძე-ხუხუნაიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

## გოგა დოლიძე



ჩვენო მონატრებულო შვილო, გოგა, გილოცავთ დაბადების დღეს. 15 დეკემბერს 33 წლის გახდებოდი, დედიკო. უფალს ვთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი სული. გვიყვარხარ და გვენატრები.

*ოჯახი*

---



ავთანდილ კალანდაძის ოჯახი მწუხარებით იუწყება ღირსეული პიროვნების, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი, გამრჯე და ბევრი კეთილი საქმის ინიციატორის, გამორჩეული მრჩევლის, ომახიანი ქართველის

**ავთანდილ გუდავაძის**

გარდაცვალებას.

---

ნუნუ, სოსო ანთიძეები ოჯახით იუწყებიან

**გიგა ყაჭეიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს და ყველა ახლობელს.

---



და თამარა, დისშვილები ნინო, დათო კუტუბიძეები, რძალი ნინო ჯიქია, სიძე ზაზა დოლიძე იუწყებიან

**თინა ცინცაძის**

გარდაცვალებას.

---



თამრიკო, ვერიკო ანთიძეები თანაუგრძნობენ მერი კოტრიკაძეს დის

**ზინას**

გარდაცვალების გამო.

---



გურამ, დათო, გოჩა თავბერიძეები ოჯახებით იუწყებიან

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---



მწუხარებაში მყოფი შვილები რეზიკო, ქეთინო, იზო, თამილა, მარინა, რძლები, სიძეები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დისშვილები, მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერ ცინცაძე-კუტალაძე.**

---



ცავლინა მგალობლიშვილი შვილებით, დიდი მწუხარებით იუწყება

**ლამარა (ცაცია) სალუქვაძის**

გარდაცვალებას.

---



ბახვა ჟღენტი ოჯახით იუწყება თბილი ქალბატონის

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას.

---



ამირან ჯიქიას ოჯახი იუწყება ოჯახის უახლოესი მეზობლის, საყვარელი ქალბატონის

**ეკატერინეს**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობსახლობლებს.

---

შოთა ცინცაძის ოჯახი გულისტკივილით იუწყება ახლობლის

**რევაზ ელიაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

ტურფა კიკვაძე ოჯახით იუწყება

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---



ჟორა ჯინჭარაძე ოჯახით იუწყება უახლოესი მეზობლის

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



მწუხარებაში მყოფი შვილები იზოლდა, პაშა, შვილიშვილები გია, ზურა ცინცაძეები, დათო, ლევან ჯიქიეები, სიძე რეზო ჯიქია, შვილთაშვილები, მაზლისშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან

**ფაცია ანდროს ასული ახალაძე-ბერძენიშვილის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 7 დეკემბერი.
დაკრძალვა: სამშაბათი, 8 დეკემბერი.
ჩოხატაური, სოფელი ზემო ფარცხმა.

---



ომარ შანიძე ოჯახით იუწყება შესანიშნავი ქალბატონის

**ეთერ ცინცაძე-კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს შვილებს, შვილიშვილებს, ოჯახის ახლობლებს.

---



რეზო დოლიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება ძვირფასი ადამიანის

**გიგა ყაჭეიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---



ირა სულაბერიძის ოჯახი იუწყება ოჯახის უახლოესი ქალბატონის

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს შვილებს, ნათესავებს.

---

კორნელი სიხარულიძე ოჯახით თანაუგრძნობს თალიკო სიხარულიძის ოჯახს დის

**ლამარა (ცაცია) სალუქვაძის**

გარდაცვალების გამო.

---

პაატა ოსეფაიშვილი, ნინო, მანანა კიკვაძეები იუწყებიან

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---



მწუხარებაში მყოფი დედა შუშანა, მამა ალიოშა, დები გულნაზი, თაიგული დოლიძეები, სიძეები კაკო, ავთო სიხარულიძეები, ნიკა ხომასურიძე, დისშვილები თეა, ლია, ჯემალ, ლელა სიხარულიძეები ოჯახებით, მამიდები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**სიმონა ალექსანდრეს ძე დოლიძის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: ორშაბათს, 7 დეკემბერი, 17 საათზე.
დაკრძალვა: სამშაბათს, 8 დეკემბერს, 15 საათზე.
ჩოხატაური, სოფელი გოგოლესუბანი

---



სოსო ოსეფაიშივლი ოჯახით იუწყება

**ეკატერინე (კატო) იაკოვლენკო-მამალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

---

ლეილა ბოცვაძე თანაუგრძნობს ბატონ იური სიხარულიძეს მეუღლის, ქალბატონი

**ლაურაგიორგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გოგოლესუბნის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ბატონ იური სიხარულიძეს მეუღლის ქალბატონი

**ლაურა გიორგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის მე-9 კლასი მწუხარებას გამოთქვამს კლასის დამრიგებლის, ირინა სირაძის დედის გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ **"გურია ნიუსის"** რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს **სიმონა ალექსანდრეს ძე დოლიძის, ლამარა (ცაცია) სალუქვაძის, შურა მოსეს ასული დოლიძე-ხუხუნაიშვილის, ეკატერინე (კატო) იაკოვენკო-მამალაძის, ეთერ ცინცაძე-კუტალაძის,** ფაცია ანდროს ასული ახალაძე-ბერძენიშვილის გარდაცვალების გამო.

# უფასო განცხადებები

## იყიდება

კედელი ("სტენკა"), მეორადი. საუკეთესო მდგომარეობაში.
ტელ: (551) 121139.

---

სასიმინდე და "კუხნა", გამოდგება ძროხის ბინად. კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 134236.

---

შეშის ღუმელი, მეორადი, კარგ მდგომარეობაში (კანადური), ფასი შეთანხმებით. ტელ: (551) 121139.

---

გაზის გამათბობელი "კარმა _ ბეტა 4", მეორადი, საუკეთესო მდგომარეობაში. კარგი ჯიშის ფური, 2 წლის. 5 თვის მაკე ფური, 3 წლის.
ტელ: (555) 350189, (790) 950186, (557) 900225.

---

გაზის გამათბობელი "კარმა", 60 კვმ. ფართის, მეორადი, ხელმისაწვდომ ფასში.
ტელ: (593) 309320.

---

3-ლიტრიანი მინის ქილები ძველებური, სხვადასხვა ზომის მეორადი მინები, ხის კარი, ორფრთიანი, ჩარჩოს გარეშე. 3 ცალი კარი გასაშალის (მეორადი) კარგ მდგომარეობაში. ხის ფანჯარა.
ჩოხატაური, ტელ: (574) 086078.

---

კაკლის ხის, გასაშლელი მაგიდა, 15-ადგილიანი. გერმანული ხალიჩა 2/3-ზე. წიგნის თარო 2 ცალი დასაშლელი ავტოფარეხი, თუნუქის სახურავით, რკინის კარით.
ტელ: (599) 202521.

---

პიანინო "საქართველო", კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (595) 536794.

---

2 კბმ. წაბლის ხის, დახერხილი, ხმელი მასალა, სხვადასხვა ზომის.
ტელ: (568) 880511, გურამი.

---

2 ცალი, 400-ლიტრიანი მუხის კასრი. უჟანგი მასალისგან დამზადებული სამი 300-ლიტრიანი, 2 ცალი ტონიანი კასრები და საწნახელი. ღვინო "ცოლიკაური", ჭაჭის არაყი. ნაძვის ხმელი მასალა, იატაკის და ჭერის, 6 კბმ. იაპონური წარმოების, ფაზანოლიანი, 1 კვტ-იანი გენერატორი, ახალი. არმატურა 100 მ. 28-იანი, 100 მ. 25-იანი და 50 მ. 32-იანი მილები.
ტელ: (551) 328714.

---

"ზიმფერის" ფირმის ელექტროღუმელი.
ტელ: (595) 185715.

---

შეშა.
ტელ: (577) 725854.

---

6 ცალი კარი, ოთახის ტიხარისთვის, თავისი თაღებით და საყრდენებით, გალაქული, კარგ მდგომარეობაში.
ფასი შეთანხმებით.
ტელ; (599) 179929, (790) 564857.

---

ავტოფარეხი, 16 კვმ. რკინის ფირფიტებით გაკეთებული, გამოდგება "კუხნადაც". ფასი შეთანხმებით.
ტელ: (599) 198217.

---

80 ცალი აკაციის ბოძი, 40 ცალი, 2,5-4 მ-იანები. ერთი ცალი _ 3 ლარი.
ოზურგეთი, სოფ. ნაგომარი.
ტელ: (790) 140897, (598) 572690.

---

რუსეთის არმატურა, 22-იანი, 186 ცალი, 2.5 მ-იანები.
ტელ: (568) 809690.

---

2-ტონიანი ნავთის ავზი.
ტელ: (577) 926243.

---

შეშა.
ტელ: (597) 003049.

---

რცხილას შეშა.
ჩოხატაური, სოფ. ვაზიანი.
ტელ: (555) 118316.

---

წაბლის ხისგან დამზადებული ახალი ფანჯარა, 3 ცალი, 1,8/1,05-ზე.
ტელ: (577) 952021.

---

100 ცალი აკაციის ბოძი, 2,2 მ-იანები.
ტელ: (595) 478498.

---

ჩოხატაურში, გუთური-ჩაისუბნის საზღვართან, 2-სართულიანი ქვის სახლი, ბუნებრივი აირით.
ტელ: (595) 612975, (593) 374036.

---

ჩოხატაურში, სოფ. ხიდისთავში 2-სართულიანი სახლი, დამხმარე ნაგებობებით, ჭით, ბუნებრივი აირით.
ტელ: (591) 706074.

---

ჩოხატაურში, სოფ. გუთურში, სახლი დამხმარე ნაგებობებით, ბუნებრივი აირით, წყლით, გაშენებული ეზოთი, 3200 კვმ. სკოლასთან ახლოს.
ტელ: (597) 000603, (577) 148781.

---

ჩოხატაურის ცენტრში, თბილისის 69-ში, 2-სართულიანი სახლი, სველი წერტილებით, მოთუთიებული თუნუქის სახურავით, მეორე სართული წაბლისა და ნიგვზის მასალით ნაშენი, სარემონტო, ეზოში ჭით, 1200 კვმ. მიწის ნაკვეთით, ბუნებრივი აირი სახლამდე მიყვანილია.
ტელ: (595) 651569, (579) 505059.

---

2-სართულიანი სახლი, სველი წერტილებით, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთით, დამხმარე ნაგებობებით, ვენახით, თხილებით გაშენებული ეზოთი, მთის მუდმივი წყლით, ჭით. ჩოხატაური, სოფ. შუა ფარცხმა. ტელ: (599) 328153, ლილი.

---

ჩოხატაურის ცენტრში, 2-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ბუნებრივი აირით, წყლით (სველი წერტილი აივანზე), სარდაფით (სურვილის შემთხვევაში _ ავეჯით და საყოფაცხოვრებო ტექნიკით).
ტელ: (591) 002611, (591) 333867,

---

40 კვმ. კომერციული ფართი, ჩოხატაურში საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე.
ტელ: (595) 948148.

---

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, ხის სახლი, 2-ოთახით, დამხმარე ნაგებობებით, 0.8 ჰა მიწის ნაკვეთით.
ტელ: (558) 108449.

---

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, 2-სართულიანი სახლი, 0.75 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილის და ხეხილის ბაღებით.
ტელ: (568) 612438.

---

ჩოხატაურის ცენტრში, დუმბაძის 21, კინო-თეატრის გვერდით, 230 კვმ. მიწის ნაკვეთი.
ტელ: (514) 415353.

---

ოზურგეთში, რუსთაველის 85-ში, ბელეტაჟი სახლი.
ტელ: (598) 284418.

---

2-სართულიანი სახლი, 10/10-ზე, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთი, 2000 კვმ. ტყით, მანდარინის, კივის, ფეიხოას, ლიმონის, თხილის ბაღებით, ეზო რკინის მესერითაა შეღობილი.
რკინის შველერი 6,4 მ. უჟანგი რკინის ავზი 120- ლიტრიანი.
ჩოხატაური, სოფ. ჩაისუბანი (სოფლის ცენტრში),
ტელ: (599) 141703, (599) 179979.

---

ჩოხატაურის ცენტრში, დასაშლელი, 2-სართულიანი წაბლის ხის სახლი.
ტელ: (595) 321454.

---

2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 1 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილებით, ვენახით გაშენებული ეზოთი, ბუნებრივი აირით.
ჩოხატაური.
სოფ. ახალშენი,
ტელ: (591) 287441.

---

"კუხნა" სახლი, 5/5-ზე. რკინის მილი 10 მ-იანი, 270 მმ. ავტომანქანა "ვილისის" დიფერები და სხვა ნაწილები, დენის ტრანსფორმატორი 110-220 ვ.
ტელ: (557) 577058.

---

დაბა ჩოხატაურში, ფიროსმანის 3-ში, კაპიტალური სახლი, 4 საძინებლით, დიდი მისაღები ოთახით, კორიდორული სისტემით, გაზის და წყლის შეყვანის პერსპექტივით (მიყვანილია ეზომდე) 1700 კვმ. მიწის ნაკვეთით.
ტელ: (598) 311824.

---

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტი“ და ავტომანქანა "უაზი“.
ტელ: (577) 782882.

---

ავტომანქანა "დაიჰაცუ კუორე" და "გოლფ 2" -ის ნაწილები.
ტელ: (568) 758623.

---

ავტომანქანა "mersedes benci-E 124" (ე.წ. "ეშკა"), იაპონიიდან ჩამოყვანილი, ქარხნული, მარცხენა საჭით, ორიგინალი, 108 000 კმ. გარბენით.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: (598) 108118.

---

ავტომანქანა "ოპელ ექსტრა" სედანი, ძრავა 1.6, ბენზინზე, 1998 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (551) 175338, დოდო.

---

სასწრაფოდ, ავტომანქანა "აუდი 100".
ტელ: (558) 447300.

---

ავტომანქანა "ოპელ ასტრა ფურგუნი", 1996 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, ელექტრო შუშებით, კონდიციონერით, ABS, ჰიდრავლიკა, 1.6-იანი ძრავით.
ტელ: (598) 808908, გიორგი.

---

ჩოხატაურში, ყოფილ სახანძროსთან 50 კვმ. მიწის ნაკვეთი.
ტელ: (591) 154545.

# "გურიას" ფეხბურთელები სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებენ

გოჩა ჯანაშია

ლანჩხუთის "გურიასთვის" ბოლო ტურში თბილისის "დინამოსთან" მარცხი ზედიზედ მეოთხე გამოდგა. 10 ოქტომბრის შემდეგ გუნდმა შვიდი შეხვედრა გამართა და ერთხელაც ვერ იმარჯვა. შედეგად, 9 ქულის ამარა დარჩა და პირდაპირ გასავარდნი ზონის ბინადარ "ზუგდიდთან" სამიოდე ქულა აშორებს.

ამ კრიზისმა კლუბის ხელმძღვანელობა დააფიქრა და კარდინალური ცვლილებების აუცილებლობაზე აალაპარაკა. ფაქტია, რომ კახა გოგიჩაიშვილის ფაქტორმა და მისმა შერჩეულმა ფეხბურთელებმა ვერ გაამართლეს იმედები და მომავალი წლისთვის გუნდის, ლამის, მთლიანად გადახალისების პროცესი იგეგმება. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს მუნიციპალიტეტის გამგებელი და, ამავდროულად, კლუბის პრეზიდენტი, ზაზა ურუშაძე, რომელმაც გაზეთ "ლელოსთან" დაადასტურა ეს განზრახვა. *"გუნდს მოსამზადებლად ყველანაირ პირობას ვუქმნით, რისი მსგავსიც კი "გურიას" ბოლო 20 წელიწადში არც დასიზმრებია, მაგრამ შედეგი არ ჩანს. სამწუხაროდ, სეზონის დასაწყისში მწვრთნელთა შტაბის შერჩევისას შევცდით, მათ კი ისეთი ფეხბურთელები მოიყვანეს, რომელთა ნაწილიც უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა გადავწყვიტეთ და "დინამოსთან" მატჩამდე ფეხბურთელებს ვუთხარით, რომ ეს მათთვის გადამწყვეტი თამაში იქნებოდა... სამწუხაროდ, ისევ წავაგეთ და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ბევრ მათგანთან დამშვიდობება მოგვიწევს. მინდა, ბოდიში მოვუხადო ლანჩხუთელებს, გუნდმა მათი იმედები რომ ვერ გაამართლა"*, _ აცხადებს ურუშაძე.

ჩვენი ინფორმაციით, საუბარია 10 ფეხბურთელის გაშვებაზე, რაც ამ ფეხბურთელებთან კონტრაქტის ორმხრივად გაწყვეტას გულისხმობს. "დინამოსთან" წაგებული შეხვედრის შემდეგ კლუბმა წასვლა შესთავაზა მეკარე **ნიკა დაუშვილს**, აგრეთვე _ **ლაშა მჭედლიშვილს, კოტე ხიზანეიშვილს, ლევან ქურდაძეს, თორნიკე მოსიაშვილს, სანდრო რეხვიაშვილს, ლუკა კობერიძეს, ნიკა მაისურაძეს, შოთა ჯიქიასა და ბექა ზაქრაძეს**. რაც შეეხება ლაშა ჩაფიძესა და აფრიკელ ბოტი გოა დემელს, გაირკვა, რომ ამათ კონტრაქტი უკვე გაწყვიტეს კლუბთან და წასვლა არჩიეს.

თუმცა, შეთანხმება არ შედგა, როგორც მოსალოდნელი იყო ფეხბურთელები უხელფასოდ დარჩენას არ დათანხმდნენ და საბოლოოდ, შეთანხმდნენ, რომ "გურიას" პირველი წრის დარჩენილ ორ ტურშიც დაეხმარებიან, ურთიერთობას კი ამის შემდეგ გაარკვევენ.

არადა, კონტრაქტი ერთწლიანია და ცალმხრივად გაწყვეტაც რომ პრობლემურია, ეს კლუბმა თემურ ლორიასა და თენგიზ პატარაიას გაშვებით, უკვე საკუთარ თავზე იგრძნო, თუმცა ჩვენთვის უცნობია, გასაშვებ ფეხბურთელებთან დადებულ კონტრაქტში თუ არსებობს რაიმე მექანიზმი, რომელიც ამ პროცესებს უმტკივნეულოდ და რაც მთავარია, კანონიერად განავითარებს. კლუბის მოსამზადებელ პირობებს, ლამის, იდეალურს კი უწოდებს გამგებელი, მაგრამ ფეხბურთელთა ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. კერძოდ, "გურიას" ფეხბურთელებმა "TV პირველთან" სატელეფონო ჩართვაში, გარკვეულ პრობლემებზე ისაუბრეს. *"მართლაც შემოგვთავაზეს, რომ გაგვეწყვიტა კონტრაქტი ნოემბრის ჩათვლით. დეკემბრის ხელფასის მოცემა არ უნდოდათ, კონტრაქტი კი მაისის ბოლომდე გვაქვს.*

*ჩვენ არ დავთანხმდით და გადავწყვიტეთ, რომ ბოლო ორ ტურს ვითამაშებთ და სეზონის ბოლოს კლუბს დავტოვებთ...*

*...გამოდის გამგებელი და ამბობს, რომ ყველაფერი ხუთიანზე აქვს გუნდში. რეალურად ყველაფერი სხვაგვარადაა, არც სავარჯიშო და არც სათამაშო პირობები ნორმალური არაა, სასტუმროში გათბობის გარეშე ვიყინებით. ხელფასი უკვე სამი თვეა არ აგვიღია, ხმას არ ვიღებთ და მაინც ფეხბურთელები ვართ დამნაშავე"*, _ ამბობენ ისინი.

მოკლედ "გურია" ზამთრის არდადეგებს გაურკვევლობით ხვდება, თუმცა, მანამდე კიდევ ორი ტურია დარჩენილი. უახლოესი შეხვედრა კი სამტრედიაში გაიმართება, სადაც ასეთ ყოფაში მყოფ გუნდს რა ბედი ელის, ფეხბურთში ჩახედული ადამიანიც რომ არ იყოს, კარგად მიხვდება.

პირველი წრის დასრულების შემდეგ კი დიდ წმენდას უნდა ველოდოთ კლუბში და საკითხავია, მარტო ფეხბურთელებზე გადატყდება ჯოხი, თუ ადმინისტრაციაშიც უნდა ველოდოთ გარკვეულ ცვლილებებს.

## მილოცვები

**ლევან კომახიძეს!**



გილოცავთ დაბადების დღეს, 2015 წლის 10 დეკემბერს 11 წლის შესრულებას. გისურვებთ სწავლაში წარმატებას და უფლის წყალობას.

*ნაზიკო ბებო*

ჩვენს პირველ სიხარულს

**ოთიკო კალანდაძეს**



ვულოცავთ ოქროს დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმთელობას და ბედნიერ მომავალს. უფალი იყოს შენი მფარველი.

*ნატო ბებია, ოთარი ბაბუა*

# ტოკიოს "დიდი მუზარადი"

## პირველ დღეს უმედლოდ დავრჩით

4 დეკემბერს, ტოკიოში, ძიგორო კანოს სახელობის "დიდი მუზარადი" დაიწყო.

ქართველებიდან ამირან პაპინაშვილმა და ლუხუმ ჩხვიმიანმა (60) იჭიდავეს. სამწუხაროდ, ორივე ძიუდოისტი დამარცხდა.

ჩხვიმიანმა და პაპინაშვილმაც პირველი წრე გამოტოვეს. ჩხვიმიანმა მეორე წრეში მექსიკელ ცეზარ რამოსს აჯობა, ხოლო შემდეგ იაპონელ ტაკატო ნაოჰისას ვერ გაუმკლავდა.

პაპინაშვილი მეორე წრეში ლიბანელ დამიენ ზიადეს გასცდა, თუმცა შემდეგ იაპონელ დაი აოკისთან დამარცხდა.

სამწუხაროდ, ორივე ქართველი სპორტსმენი მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

შემდეგ გამოსვლებში 73 და 81 კგ. წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ. საქართველოდან 4 სპორტსმენი იასპარეზებს: ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი და უშანგი მარგიანი.

sportall.ge



# ზაზა ფაჩულია NBA-ს ორმაგი დუბლების მანქანად იქცა

star-telegram.com აქვეყნებს სტატიას სათაურით "დალას მავერიკსის" ზაზა ფაჩულია NBA-ს ორმაგი დუბლების მანქანად იქცა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

"პორტლენდთან" ოვერტაიმში 115:112 მოგებული მატჩის შემდეგ "დალასის" ვარსკვლავი დირკ ნოვიცკი სიცილს ვერ იკავებდა, როცა მას თანაგუნდელის, ზაზა ფაჩულიას სარეკორდო 21 მოხსნაზე ჰკითხეს.

*"ასე, დაახლოებით, 6 მოხსნა მე მომპარა _ მე 13 მოხსნა გამომივიდოდა და მას მაინც დარჩებოდა 15"*, _ იხუმრა გერმანელმა, რომელმაც ეს მატჩი 28 ქულითა და 7 მოხსნით დაასრულა. **დირკ ნოვიცკი:** "*ზაზა გაცილებით კარგი მომხსნელი და დამცველი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა*".

ფაჩულიას ამ სეზონში 12 ორმაგი მოხსნა აქვს და მეორე ადგილზეა ასოციაციაში. ეს კი ბევრს მეტყველებს კალათბურთელის შესახებ, რომელმაც კარიერის დიდი ნაწილი მეორეხარისხოვან როლებში გაატარა.

*"ვფიქრობ, ის უკეთესი მომხსნელი და დამცველია, ვიდრე მეგონა. ზოგადად, ის უფრო სათადარიგო ცენტრი იყო კარიერის განმავლობაში, ასეთი ბიჭები კი გადამწყვეტ მომენტებში ნაკლებად ჩანან.*

*არადა, ის არის ბრწყინვალე მომხსნელი, დიდებულად იცავს ფარს და შეტევაშიც კარგია. მაღალი ბიჭისთვის შესანიშნავი დრიბლინგი აქვს. ამას ის ხანდახან აკეთებს. მერწმუნეთ, NBA-ში შეტევაში ასე თამაში ბევრ ცენტრს არ შეუძლია.*

*მოკლედ, ზაზა, ჯერჯერობით, ამ სეზონის მთავარი სიურპრიზია"*, _ განაცხადა დირკ ნოვიცკიმ.

**ზაზა ფაჩულია:**

*"ეს ის არის, რაც მევალება - მოხსნები, ბრძოლა, კარგი თამაში".*

ამ თამაშში ერთმა ფაჩულიამ აჯობა "ბლეიზერსის" მთელ სასტარტო შემადგენლობას მოხსნებით _ 21:19!

*"ეს ის არის, რაც მევალება _ მოხსნები, ბრძოლა, კარგი თამაში. ყოველთვის კარგად გრძნობ თავს, როცა თამაშს იგებ"*, _ აცხადებს ფაჩულია, რომელმაც საპასუხოდ იხუმრა დირკის მიმართ: *"რა გითხარი, დირკ, ხომ გახსოვს? უნდა დაიკავო სწორი პოზიცია ფარქვეშ, მოისროლო იქიდან მეტოქეები და მოხსნა შენია"* _ მიმართა მან ნოვიცკის და შემდეგ დაასრულა: *"ეს ყველაფერი მე ვასწავლე. საოცარია, 37 წლის ასაკშიც კი კარგად სწავლობს".*

**რიკ კარლაილი:** *"ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ბიჭია. "პორტლენდთან" კი დიდი მატჩი ჰქონდა".*

"მავერიკსში" ჯერ კიდევ სწავლობენ



ფაჩულიას ახალ-ახალ შესაძლებლობებს. არადა, ის 9 ივლისს აიყვანეს დრაფტის მეორე წრის კალათბურთელის სანაცვლოდ. *"ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ბიჭია. "პორტლენდთან" კი დიდი მატჩი ჰქონდა. მეტოქე სწორედ მოხსნებით გამოირჩევა და როცა ასეთ გუნდს 20-ზე მეტ ბურთს მოუხსნი, საოცარია"*, _ ამბობს "დალასის" მწვრთნელი რიკ კარლაილი. "დალასი" ახლა "ჰიუსტონს" ხვდება, რომელსაც არ ეყოლება მთავარი მომხსნელი დუაიტ ჰოვარდი. *"ფაჩულია ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც დაცვაში, ისე შეტევებშიც, რადგან შეტევებში თანაგუნდელებისთვის ხელსაყრელ სიტუაციებს ქმნის. დაცვაში კი ის ყველაფერს ხედავს, ყველას აკონტროლებს, ის კარგი კომუნიკატორია გუნდში"*, _ საქებარ სიტყვებს არ იშურებს მწვრთნელი.

**დირკ ნოვიცკი:** *"ყოველთვის გავიმეორებ ამ სეზონში _ ფაჩულია ჩვენ დრაფტის მეორე რაუნდის პიკად ავიყვანეთ. ეს იყო წლის საუკეთესო გარიგება".*

ჯეი ჯეი ბარეა მეოთხე თამაშს გამოტოვებს კოჭის ტრავმის გამო და გამთამაშებლის გამოკლების გამო ფაჩულიას როლი კიდევ უფრო იზრდება. "*ყოველთვის გავიმეორებ ამ სეზონში _ ფაჩულია ჩვენ დრაფტის მეორე რაუნდის პიკად ავიყვანეთ. ეს იყო წლის საუკეთესო გარიგება. ზაზა მაგრად თამაშობს, მებრძოლია და ძალიან გუნდური. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ბევრს ჩააგდებს თუ ცოტას, მთავარია, გუნდი გამარჯვებული დარჩეს. ის იმ კატეგორიის ვეტერანი ლიდერია, ნებისმიერი გუნდი რომ ინატრებდა"*, _ ისევ დირკ ნოვიცკი.

sportall.ge

## ამინდის პროგნოზი გურიაში




ელენე ღვალიძვილი 10 წლის




ანდრია ყაველაშვილი 4 წლის




ელენე ღვალიძვილი 10 წლის




გუგა ყაველაშვილი 3 წლის

## ვალუტის კურსი

| 1 GEL | კურსი |
|---|---|
| USD | 2.4078 |
| EUR | 2.5759 |
| GBP | 3.6842 |
| RUB | 0.3712 |

